www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 10 სექტემბერი, 2013 წელი. | №3361 (168) | ფასი 50 თეთრი

## ივანიშვილს ნატო-ში რუსეთის შესვლის იმედი აქვს

„რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა. ინტერვიუში, რომელიც რიგაში, პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს არის ჩაწერილი, საუბრის ძირითადი თემა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობებია.

ივანიშვილი კვლავ ევრაზიულ კავშირთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ მას ყურადღებით აკვირდება. ივანიშვილი თავს არც პროგნოზების გაკეთებისგან იკავებს. „ჩემი აზრით, ახლოში არა, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში რუსეთი ევროკავშირის წევრიც გახდება (ვერსად ვერ წავა, ახლოს არიან და ქვეყნებს ერთმანეთი სჭირდებათ), ნატო-ს წევრიც გახდება და ახლო მეგობარი გახდება ამერიკის. შესაბამისად, როდესაც სწავლობ და უყურებ, მაშინ შეხვალ შენ თუ გინდა იქ [ევრაზიულ კავშირში], როდესაც ხედავ, რომ საეჭვო აღარაა და შენი ქვეყნისათვის ეს საინტერესო და სასარგებლოა...“ - აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ჟურნალისტს, რომელსაც ივანიშვილის საუბარს თამამ პროგნოზად მიიჩნევს, პრემიერი პასუხობს, რომ გლობალურ პოლიტიკაში ყველაფერი იცვლება. მისი თქმით, დღევანდელი მტრები ხვალ მეგობრები არიან და პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერი თავად ამბობს, რომ ევრაზიულ კავშირს ყურადღებით აკვირდება, კითხვას - იცით, რას წარმოადგენს ევრაზიული კავშირი? - ივანიშვილი პასუხობს: „თვითონ არ იციან ჯერ, რა უნდათ და მე როგორ უნდა ვიცოდე?!...“

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

## ვანო მერაბიშვილი: „საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა„

*„ნაციონალური მოძრაობის“ პატიმრობაში მყოფი გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდების თაობაზე სასამართლო პროცესი ამ კვირაში დაიწყება.*

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ აღნიშნულ ეპიზოდზე, ვანო მერაბიშვილს აღკვეთი ღონისძიება პატიმრობა არაუფლებამოსილმა მოსამართლემ შეუფარდა. კერძოდ, საქმე ეხება დასაქმების ეპიზოდს, რომელზეც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა, რის შემდეგაც საქმე სააპელაციო სასამართლოს გადაეცა. ვანო მერაბიშვილის ადვოკატებს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს კითხვები სწორედ სააპელაციო სასამართლოსთან აქვთ.

რამდენიმე დღის წინ, ვანო მერაბიშვილის ადვოკატებმა განცხადება გაავრცელეს, სადაც ნათქვამია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე მალხაზ გურული, რომელმაც ძალაში დატოვა მერაბიშვილის აღმკვეთი ღონისძიება, არის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრი. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კი, აღკვეთის ღონისძიების განხილვის უფლება აქვს მხოლოდ საგამოძიებო კოლეგიის წევრ მოსამართლეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## კერი: სირიაზე დარტყმას საუდის არაბეთიც უჭერს მხარს



თამთა კახაძე

კვირას ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ სირიაში ამერიკისა და მისი პარტნიორების სამხედრო ინტერვენციას საუდის არაბეთი მხარს დაუჭერს.

ისინი დარტყმას მხარს უჭერენ, მათ მიაჩნიათ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“-განაცხადა კერიმ არაბული ლიგის ქვეყნების მინისტრებთან გამართული შეხვედრის შემდგომ.

რეპორტიროებს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განუცხადა, რომ ნაყოფიერი შეხვედრა ჰქონდა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინსტრ საუდ ალ-ფაიზალისთან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

## ლენინი და სტალინი ნიუ იორკში

ია მერკვილაძე,
*ნიუ იორკი, აშშ*

შარშანდელი დამანგრეველი ქარიშხალი სენდის“ შემდეგ ბრაიტონ ბიჩზე“ მდებარე მაღაზიების, რესტორნებისა და ოფისების გვერდით ჩვენებური დვიჟოკები“ არახრახდნენ. დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. კვირების კი არა თვეების განმავლობაში ბრუკლინის ოკეანისპირა უბნები დატბორილი იყო, მეტრო არ მოძრაობდა, დენი დიდი ხნით გაითიშა, მათ შორის საავადმყოფოშიც.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე



| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | | | 1.6643⇩ |
| 1 ევრო | | | 2.2110⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | | | 2.5933⇩ |
| 1 თურქული ლირა | | | 0.8622⇩ |
| 100 რუსული რუბლი | | | 5.0433⇩ |
| თბილისი | | | 31°C - 20°C |
| ქუთაისი | | | 33°C - 20°C |
| ზუგდიდი | | | 32°C - 21°C |
| ბათუმი | | | 27°C - 21°C |
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
**ჩვენი პარტნიორები:**

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## ცელიური ზღაპარი დასრულდა

კახა ფაჩუაშვილი
ცელიედან
**სლოვენიიდან რეპორტაჟების სპონსორია „ჰიუნდაი“**

სტუმართმოყვარე ცელიეს ვემშვიდობებით. იქ ბევრი მეგობარი და მოღიმარი სახე დარჩა. სლოვენია თავისუფალი ქვეყანაა, ნატოსა და ევროკავშრის წევრი. შესაბამისად, ღიმილიც გულიანი იციან და არც კეთილგანწყობა აკლიათ.

ჩვენთვის კი ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. სათაურში ვახსენე სლოვენიური ზღაპარი და არც გამემტყუნება. ტურნირი ზღაპრულად დავიწყეთ და ამან ჩაგვინერგა უკეთესი მომავლის იმედი. პოლონეთის დამარცხება ხუმრობა საქმე არ იყო. სპეციალისტებმაც კარგი შეფასება მოგვცეს. არავინ ელოდა შენგელიასა და ფაჩულიას გარეშე ქართველთა ასეთ თამამ თამაშს.

ზღაპარი გაგრძელდა ხორვატებთანაც. საყოველთაო აღიარებით იქ, უბრალოდ, ფორტუნამ გვაქცია ზურგი. შეიძლება სხვაგვარადაც ყოფილიყო, რომ ხორვატებს ყველაფერი არ ჩაეგდოთ, რაც კი ისროლეს, მაგრამ ბალკანელებმა ბოლო მეოთხედში 5 სამქულიანი ჩაგვიგდეს და ერთადერთი ქულით გვაჯობეს. აქაც აპლოდისმენტები საქართველოს ნაკრებს გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის.

ზღაპარი გაგრძელდა მასპინძლებთანაც. თამაშის დასრულებამდე 33 წამით ადრე ანგარიშში სხვაობა მხოლოდ 2 ქულა იყო სლოვენიელთა სასარგებლოდ, მაგრამ დაცვა ვერ დადგა სათანადოდ და 4 ქულით დავმარცხდით. ეს იყო ეპილოგი, რომელსაც, ალბათ, ველოდით, მაგრამ არ ვაღიარებდით. არ გვინდოდა გვეთქვა, რომ საქართველოს ნაკრებს უბრალოდ ძალა აღარ შერჩა ტურნირის ღირსეულად გასაგრძელებლად.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე




*კოკოშკოვის გუნდმა პოლონეთთან გამარჯვებით და შემდგომ წაგებული მატჩებით დაასრულა ევრობასკეტი*

## პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატურა წარადგინა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატურა წარადგინა. ცესკოს ინფორმაციით, ესენი არიან თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირაჯიბი.

კანონმდებლობის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15-ე დღისა პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას. ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) თავმჯდომარეს 5 დღის ვადაში ირჩევენ.

თუ აღნიშნული წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, იმავე კანდიდატურებიდან ცესკოს თავმჯდომარეს 7 დღის ვადაში ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობა რამდენიმე კვირის წინ, პოლიტიკური მიზნების გამო დატოვა. ხარატიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს.

## 1 ივლისიდან 9 სექტემბრამდე პარტიებმა 2 372 907.59 ლარის შემოწირულობა მიიღეს

2013 წლის 1ივლისიდან 9 სექტემბრამდე პერიოდის განმავლობაში პარტიებისთვის 2 372 907.59 ლარის შემოწირულობა განხორციელდა.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის წინასაარჩევნო კამპანიის ორთვიანი პერიოდის მონიტორინგის შედეგების თანახმად, პარტიების მიერ მიღებული შემოწირულობები ასეთია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 1 456 560.99 ლარი; „თავისუფალი დემოკრატები“ - 315 077.59 ლარი; „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ - 223,873.00 ლარი; „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ - 148 920.00 ლარი; „ეროვნული ფორუმი“ - 141 136.41 ლარი; „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ - 79 995.00; ხოლო სხვა პარტიები - 7 344.60 ლარი.

მონიტორინგის სამსახური შემოწირულობების შესასწავლად და შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის სასამართლო წესით გამოსათხოვად მასალებს ამზადებს.

## ირაკლი ალასანია - ჩვენი ამოცანაა, შეიარაღება და ტექნიკა უფრო თანამედროვე გავხადოთ

ჩვენი ამოცანაა, გავხადოთ უფრო თანამედროვე ჩვენი შეიარაღება და ტექნიკა, მათ შორის საფრენი აპარატები , - ასე უპასუხა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტების დასმულ კითხვაზე იმის შესახებ, თითქოს ახალი ხელისუფლების პირობებში ხდება თანამედროვე სამხედრო ტექნიკის რუსული ტექნიკით ჩანაცვლება და ქართული შეიარაღებული ძალების შესუსტება.

„ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ჩვენ ვავითარებთ ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობებს და დარწმუნებული იყოს, როგორც პრეზიდენტი, ასევე, თითოეული მოქალაქე, რომ ჩვენი ამოცანაა, გავხადოთ უფრო თანამედროვე ჩვენი შეიარაღება და ტექნიკა, მათ შორის საფრენი აპარატები“, - აღნიშნა ალასანიამ.

აღნიშნული კომენტარი საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დღეს ავიაშოუზე ყოფნისას ჟურნალისტების შეკითხვების პასუხად გააკეთა.

# ივანიშვილს ნატო-ში რუსეთის შესვლის იმედი აქვს

პირველი გვერდიდან

ინტერვიუში ივანიშვილმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უპირატესობას ევროპულ ფასეულობებს ანიჭებს. „ამ ფასეულობების საფუძველზე მოახერხა ევროპამ შეექმნა კონკურენტუნარიანი ბაზარი, კორუფცია არ არის და ა.შ., ეკონომიკური კრიზისი, რაც დღეს ევროპაშია, რა თქმა უნდა, ცოტა ჩრდილს აყენებს დღევანდელი გადმოსახედიდან ევროპულობას. მაგრამ კრიზისიც ჩამთავრდება. ჩვენ სად უნდა გავიხედოთ, თუ არა ევროპის მიმართულებით? რა არის უკეთესი? თუ არა ევროპისკენ, მაშ საითკენ? გამოკვეთილად, საუკუნეზე მეტია, ევროპა საინტერესოა და, რა თქმა უნდა, უკეთესისაკენ უნდა იყურებოდეს ყველა ადამიანი. ევროპა ამოჩემება კი არაა, არამედ ადამიანი უკეთესობისკენ ყოველთვის ისწრაფვის. თანამედროვე ცივილიზაციას ევროპაზე უკეთესი ჯერ არაფერი არ შეუქმნია,“ - მიაჩნია ივანიშვილს.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, რომ ევრაზიულ კავშირს ევროპისგან განსხვავებით ერთი ბატონი, მოსკოვი ჰყავს, ივანიშვილი პასუხობს, რომ საქართველო ასეთ გაერთიანებაში არ შევა. „ჩვენ ბატონობა უკვე დავამთავრეთ. ბატონობა ახლა ამ კაცს სურდა, ჩვენი პრეზიდენტი ფეოდალივით იქცეოდა. ექვსი რეზიდენცია, უამრავი ქონება, აქეთ ვერტმფრენები, თვითმფრინავები, სამი ათასი კაცი დაცვა და მთელ ქვეყანას იმსახურებდა, - შენიშნავს ბიძინა ივანიშვილი და ევრაზიული კავშირის შესახებ საუბარს განაგრძობს, - ევრაზიულ კავშირს ვუყურებთ და ვსწავლობთ. ისეთი სახით, რაც დღეს იკვეთება, მაგრამ ჩამოყალიბებული არ არის - ჩვენ იქ არ შევალთ! ჩვენ გვინდა ის, რაც ჩვენს ქვეყანას კარგ პერსპექტივას შეუქმნის და ეს დემოკრატიული ინსტიტუტების, ევროპეიზაციის საპირისპიროდ, ქვეყნის უსაფრთხოების საპირისპიროდ არ იქნება.“

„რადიო თავისუფლების“ კითხვას იმის შესახებ, რომ ევროპულ და ზოგადად დასავლურ ფასეულობებში არჩეული, ხალხის მანდატით აღჭურვილი პოლიტიკოსები თავიანთ მანდატს ბოლომდე ასრულებენ, თქვენ კი მიდიხართ მაშინ, როცა პოპულარობის ზენიტში ხართ და მაშინ, როცა ბევრი საქმეა გასაკეთებელი, როგორც თქვით. მყარად გაქვთ გადაწყვეტილი, რომ მიდიხართ? - ივანიშვილი პასუხობს, რომ არა გაქცევას, არამედ უფრო რთულ სფეროში გადასვლას გეგმავს.

ივანიშვილი მისივე დაპირებას იხსენებს იმის შესახებ, რომ პოლიტიკაში მოსვლისთანავე მიუთითებდა, რომ წასვლას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაწყვეტდა, თუ დარწმუნდებოდა, რომ მისი გასაკეთებელი საქმე გაკეთებულია. ივანიშვილი, რომელიც პოლიტიკიდან წავლას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გეგმავს, მიიჩნევს, რომ მის წასვლას ქვეყანაში შექმნილი აბსოლუტურად სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია განაპირობებს.

***საკუთარი ინფორმაცია***

# უწყებათაშორისი კომისია ცესკო-ს თავმჯდომარის დროულად არჩევას ითხოვს

გუშინ იუსტიციის სახლში უწყებათაშორისი კომისიის სხდომა გაიმართა. როგორც კომისიის თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, სხდომაზე მოხსენებები სხვადასხვა უწყებებმა წარმოადგინეს.

წულუკიანი პროკურატურის გადაწყვეტილებას მიესალმება, რომელმაც ორ საქმეზე ძიება დაიწყო. ერთი მათგანი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტი ქალბატონის ცემის ფაქტს ეხება. „ეს ყველასთვის ძალიან მკაფიო გზავნილია. არ შეიძლება ერთი ამომრჩეველი მეორეს იმის გამო ურტყამდეს, რომ ის მხარს სხვა კანდიდატს უჭერს. ჩვენ მათი დაცვა გვევალება. საზოგადოებას კარგად ახსოვს, წინა ხელისუფლება მსგავს ფაქტებს ხელს როგორ აფარებდა. ამ მხრივ, ახალ მთავრობას პროგრესი აქვს,“ - აღნიშნა წულუკიანმა. მისი თქმით, კომისიამ უახლოეს მომავალში ბოლნისში ჩასვლისა და შექმნილი ვითარების ადგილზე შესწავლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. წულუკიანი აზუსტებს, რომ ბოლნისში მასთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენელები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები ჩავლენ.

წულუკიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანანოების წარმომადგენლებსაც მიმართავს და მათ საკადრო გადაადგილებებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს. „იმპიჩმენტის პროცედურები უნდა შეჩერდეს და პრეზიდენტობის კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდ ვითარებაში წარმართვის საშუალება უნდა მიეცეს,“ - თქვა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა იმ გადაწყვეტილების შესახებაც ისაუბრა, რომელიც კომისიამ NDI-ს რეკომედაციის საფუძველზე მიიღო. როგორც წულუკიანი ამბობს,

რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი გამოქვეყნდება. წულუკიანის თქმით, ამ სიაში მოხვედრილ პირებს 10 ოქტომბრამდე ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ აღების საშუალება ექნებათ, რის შემდეგაც ისინი საარჩევნო სიაში ავტომატურად დარეგისტრირდებიან.

NDI-ს კიდევ ერთი რეკომედაციის გათვალისწინებით, უწყებათაშორისი კომისია პროკურატურას და სასამართლოს მიმართავს, რათა მათ მშვიდობაინი შეკრების ჩაშლისა და სხვა ინციდენტების საკითხზე ადეკვატური ზომები მიიღონ. წულუკიანის თქმით, უწყებათაშორისმა კომისიამ NDI-ს ოთხივე რეკომენდაცია გაითვალისწინა.

უწყებათაშორისი კომისია, ასევე მიმართავს პრეზიდენტს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის დასამტკიცებლად კანონმდებლობით დაწესებულ ვადას ბოლომდე ნუ გამოიყენებენ და გადაწყვეტლება დროულად მიიღონ.

„სასურველი იქნება, თუკი ცესკო-ს თავმჯდომარე მიმდინარე კვირაში ეყოლება.

თავმჯდომარის არყოლა საარჩევნო პროცესის მშვიდობიანად და დემოკრატიულად წარმართვას ხელს უშლის,“ - აღნიშნავს წულუკიანი.

უწყებათაშორისი კომისიის სხდომის შემდეგ ცესკო-ს თავმჯდომარის დანიშვნის დაჩქარების შესახებ ისაუბრა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა. „პრეზიდენტის მიერ ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატები წარდგენის ბოლო ვადა 12 სექტემბერია. უწყებათაშორისი კომისია პრეზიდენტს რეკომენდაციას უწევს, რომ კანონით განსაზღვრულ ვადა ბოლომდე არ გამოიყენოს და კანდიდატები მაქსიმალურად სწრაფად წარადგინოს. მათი წარდგენის შემდგომ, ცესკო-ს წევრებს თავმჯდომარის ასარჩევად 5 დღე აქვს, ჩვენი რეკომენდაციაა, რომ გადაწყვეტილება მათაც სწრაფად მიიღონ. იმ შემთხვევაში თუ ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას თავად ცესკო ვერ მიიღებს, პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს. პარლამენტმაც წარდგენილ კანდიდატებს კენჭი მაქსიმალურად სწრაფად უნდა უყაროს და ცესკო-ს თავმჯდომარე დროულად აირჩიოს,“ - ამბობს ირინა იმერლიშვილი.

რაც შეეხება მიმდინარე საარჩევნო კამპანიას, როგორც იმერლიშვილი აღნიშნავს,

უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე ოპოზიციის წარმომადგენლებს კანონდარღვევების შესახებ არ უსაუბრიათ. იმერლიშვილის თქმით, ისინი უკმაყოფილებას კამპანიაში მინისტრების მონაწილეობის გამო გამოთქვამენ. თუმცა იმერლიშვილის განმარტებით, მინისტრებს კანონმდებლობა საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობას არ უზღუდავს.

***საკუთარი ინფორმაცია***

# დროა ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას ვუთხრათ "დიახ" და თანაც "ახლავე"

3 სექტემმბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბიზნეს პროგრამების უზრუნველყოფის ალიანსის (www.bsa.org) ერთობლივი ძალისხმევით საქართველოს ძალოვანი ორგანოების თანამშრომლებისთვის ჩატარდა მნიშვნელოვანი ტრენინგი ყალბი და არალიცენზირებული პროგრამების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ტრენინგის მიმდინარეობისას ფინანსური პოლიციის, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წევრებსა და სამინისტროს პერსონალს გააცნეს უახლესი მეთოდები, თუ როგორ უნდა მოხდეს გასაყიდად წარმოდგენილი, საცალო გაყიდვაში არსებული და კომპიუტერულ მაღაზიებში წარმოდგენილი, ასევე კომპანიებში გამოყენებული არალიცენზირებული და ყალბი პროგრამების იდენტიფიცირება. დისკუსიები გაიმართა გამოძიების ადრეულ ეტაპებზე პროგრამებისა და კომპიუტერების სადისტრიბუციო ქსელში საცდელ შესყიდვებთან და არალიცენზირებული პროგრამების მომხმარებელი კომპანიების, ასევე სახელმწიფო პირებს, BSA-სა და მფლობელებს შორის ურთიერთქმედებების გამოვლენის საგამოძიებო მეთოდებთან და საავტორო უფლებების დარღვევის შესაძლო შემთხვევებთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციის უზრუნველყოფასა და პროდუქტის იდენტიფიკაციის ექსპერტიზასთან დაკავშირებით.

"BSA"-სა და "INSEAD"-ის, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბიზნეს სკოლის მიერ ახლახან ჩატარებული კვლევის "კონკურენტუნარიანობის უპირატესობა: ჯეროვნად ლიცენზირებული პროგრამების ეკონომიკური გავლენა" მიხედვით: ჯეროვნად ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის ზრდას იმაზე დიდი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, ვიდრე საავტორო უფლებების დარღვევით მოპოვებული პროგრამების ბაზრის იგივე მასშტაბით გაზრდას. ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის 1%-ით ზრდა შიდა წარმოებას დაახლოებით 10 მილიონი აშშ დოლარით გაზრდის მაშინ, როცა მეკობრული პროგრამების ბაზრის მასშტაბის გაზრდის შემთხვევაში, ეს თანხა 4 მილიონი აშშ დოლარი იქნება. შესაბამისად, ლიცენზირებული პროგრამების ბაზრის 1%-ით ზრდა უზრუნველყოფს დამატებით ეკონომიკურ მოგებას 6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული.** ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ვანო მერაბიშვილი: „საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა„

პირველი გვერდიდან

**„აქედან გამომდინარე, მას არ ჰქონდა უფლება, განეხილა აღმკვეთი ღონისძიება, შესაბამისად, მოსამართლე მალხაზ გურულმა დაარღვია კანონი. ივანე მერაბიშვილის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი,** - აცხადებს მერაბიშვილის დაცვის მხარე.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ადვოკატების თქმით, ისინი ამ დარღვევას, სხვა დარღვევებთან ერთად, სტრასბურგის სასამართლოში გაასაჩივრებენ. ადვოკატების ინფორმაციით, დარღვევა იმდენად არსებითია, რომ ისინი სარჩელს აუცილებლად მოიგებენ.

**„თუ საქართველოს მთავრობას სურს თავიდან აირიდოს საერთაშორისო სკანდალი, მან უახლოეს დღეებში უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მერაბიშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გაუქმება,** - წერენ განცხადებაში ადვოკატები.

გარდა ამისა, დაცვის მხარემ, აღნიშნული ფაქტის შესწავლისთვის და მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის მოთხოვნით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართა.

ადვოკატები ამბობენ, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს უკვე გამოტანილი აქვს უკანანო გადაწყვეტილება და ეჭვს გამოთქვამენ, რომ მას პროკურატურა აკონტროლებს. ამის გამო დაცვის მხარემ ყველა იმ სასამართლოს აცილება მოითხოვა, რომლის განაჩენიც აპელაციის შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს.

**„დაცვის მხარე ასევე მოითხოვს აცილება მიეცეს ყველა იმ სასამართლოს, რომლის განაჩენიც აპელაციის შემთხვევაში უნდა გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან ამ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს უკვე გამოტანილი აქვს უკანონო გადაწყვეტილება და არსებობს ეჭვი, რომ იგი არის პროკურატურის კონტროლის ქვეშ. კითხვებს ბადებს ისიც, რომ ივანე მერაბიშვილთან დაკავშირებული ყველა შუამდგომლობა მათ შორის, აღკვეთის ღონისძიება, ყადაღის დადება და შემდეგ მოხსნა, პროკურატურის შუამდგომლობით წინასასამართლო სხდომების ვადის გაგრძელება, ადვოკატის შუამდგომლობით ვადის გაგრძელებაზე უარი, განიხილა ერთმა მოსამართლემ დავით ახალბედაშვილმა, რაც ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას. ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ აშკრაა, რატომ ითხოვს პროკურატურა დაჟინებით საქმის განხილვას ქუთაისში, მაშინ როდესაც პროკურატურისავე მტკიცებით, ერთი დანაშაული ჩადენილია თბილისში, ხოლო მეორე ბათუმში. საქმის ქუთაისში განხილვა ასევე ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას და ასევე მეტყველებს სუბიექტურ მიდგომაზე,** - ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, გუშინ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში ბრიფინგი გაიმართა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის გოკა გაბაშვილის განცხადებით, ყველაფერი, რაც ვანო მერაბიშვილის საქმესთან დაკავშირებით ხდება, პოლიტიკური ზეწოლაა.

**„თავად ის ფაქტიც, რომ საქმე წაღებულ იქნა ქუთაისში და თავის დროზე მოსამართლე ახალბედაშვილს მიაღებინეს სრულიად უკანონო გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში აყვანაზე, არის სუფთა წყლის პოლიტიკური დევნა. ის, რომ ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში აყვანის არანაირი საჭიროება არ არსებობდა, არაერთხელ ითქვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთშიც,“**- განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას იმდენად სურს ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნა, რომ დარღვევებს არ ერიდებიან.

**„როგორც ჩანს, პროკურატურას ყველაზე მეტად საქმე მოგვარებული ქუთაისის სასამართლოში ჰქონდა. ამას მოყვა შემდგომი ეტაპი, როცა მოსამართლე გურულს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით არ ჰქონდა უფლება განეხილა ეს საკითხი, გადაწყვეტილება ძალაში დაატოვებინეს. ივანიშვილსა და მის მთავრობას იმდენად სურს ვანო მერაბიშვილი იყოს პატიმრობაში, იმდენად მნიშვნელოვანია ეს მათთვის წინასაარჩევნო ვითარებაში, რომ მთავარი ოპოზიციური ძალის გენერალური მდივანი იყოს პატიმრობაში, რომ ამ დარღვევებზეც წავიდნენ**,“ - ამბობს გაბაშვილი.

ვანო მერაბიშვილის დაცვის მხარის გეგმებთან დაკავშირებით, დეტალური განმარტება გააკეთა მისმა ადვოკატმა გიორგი ჩივიაშვილმა. მისი თქმით, დაცვის მხარე სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში უახლოეს დღეებში შეიტანს.

**„ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მალხაზ გურულმა გამოიტანა გადაწყვეტილება, თუმცა მას არ ქონდა ამ განჩინების გამოტანის უფლება. იგი არ გახლავთ საგამოძიებო კოლეგიის წევრი, შესაბამისად ჩვენ ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ და უახლოეს დღეებში შევა სტრასბურში ჩვენი სარჩელი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ მოგვეცა შესაძლებლობა გვედავა კანონიერად. არ იქნა გამოყენებული სამართლიანი სასამართლოს პრინციპი, ბატონი მერაბიშვილის მიმართ.“** - განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

მისი თქმით, მას შემდეგ რაც აღნიშნულ საკითხზე ვანო მერაბიშვილის დაცვის მხარემ განცხადება გაავრცელა, მოვისმინეთ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის და სახელმწიფო უწყებების კომენტარი, რომლებიც ასევე არ უარყოფენ, რომ **„რაღაც არასწორად მოხდა“.**

**„ ჩვენი კომენტარების შემდეგ, მოვისმინე არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების განცხადებებიც. არცერთს არ უარყვია ის ფაქტი, რომ იქ რაღაც არასწორად მოხდა,“** - აცხადებს მერაბიშვილის ადვოკატი.

გიორგი ჩივიაშვილი სხვადასხვა განცხადებებს შორის, იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებასაც გულისხმობს, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ თუ „ნაციონალურ მოძრაობის“ გენერალური მდივნის აღკვეთის ღონისძიების საკითხი არაუფლებამოსილმა მოსამართლემ განიხილა, ამაზე პასუხი დღევანდელმა მართლმსაჯულების ხელმძღვანელობამ უნდა აგოს.

**„თუ ვანო მერაბიშვილის აღკვეთის ღონისძიების საკითხი, რომელიმე ინსტანციაში განიხილა არაუფლებამოსილმა მოსამართლემ, ამაზე პირველ რიგში პასუხი უნდა აგოს დღევანდელი მართლმსაჯულების ხელმძღვანელობამ. ეს არ არის არც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმე და არც რომელიმე მინისტრის საქმე. სტრასბურგის სასამართლოს, რა თქმა უნდა, შეეძლება განიხილოს ეს საკითხი ევროპული კონვენციის მეხუთე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, რომელიც ამბობს, რომ არცერთი საკითხი, მათ შორის აღკვეთის ღონისძიების საკითხის საფუძვლიანობა და კანონიერება, არ უნდა იქნეს განხილული არაუფლებამოსილი მოსამართლის მიერ,“** - განაცხადა წულუკიანმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატი იუსტიციის მინისტრის აღნიშნული განცხადების კომენტირებისას ამბობს, რომ კითხვის ნიშნებს ბადებს ის ფაქტი, რომ ბრალდება არ ცდილობს საქმე განსახილველად სხვა სასამართლოში გადავიდეს.

**„მე მოვისმინე ქალბატონი მინისტრის კომენტარი. მას არც დაუდასტურებია და არც უარყვია ის, რომ შესაძლებელია იქ იყოს რაიმე სახის დარღვევა. ბუნებრივია ჩვენ იმას ვამბობთ, რომ იქ არის დარღვევა. მე მრჩება კითხვის ნიშნები, თუკი ისინი არ უარყოფენ იმას, რომ იყო კონკრეტული დარღვევები, რატომ არ ცდილობს თვითონ ბრალდება, რომ ეს კითხვის ნიშნები თავიდანვე იქნეს გამორიცხული და საქმე განსახილველად სხვა სასამართლოში გადავიდეს? ასეთ შემთხვევაში ამოიწურებოდა ის ნაწილი, სადაც ჩვენ გვაქვს ეჭვები, რომ ქუთაისში იქნება მიკერძოებული სასამართლო პროცესები.“** - აღნიშნა გიორგი ჩივიაშვილმა.

ვანო მერაბიშვილის ადვოკატების განცხადებას გამოეხმაურა მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც. მისი თქმით, რადგან გამოძიება ქუთაისში წარიმართა, აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაც ქუთაისში უნდა მომხდარიყო.

**„ჩვენ ამ თემაზე, რომელიც ვანო მერაბიშვილისთვის პატიმრობის შეფარდებას შეეხება, ბევრჯერ განვგიმარტავს, რომ გამოძიება დასაქმების პროგრამის დროს სახელმწიფო რესურსის უკანონო გამოყენებასთან დაკავშირებით ქუთაისში მიმდინარეობდა და ამ საქმეს დასავლეთ საქართველოს პროკურატურა იძიებდა. სწორედ მან აწარმოა საქმის გამოძიება მთელი საქართველოს მასშტაბით და როცა ის დასრულდა, ბუნებრივია, მანვე მისცა ეს ადამიანი პასუხისმგებლობაში. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ხდებოდა ქუთაისში, ბრალდება მერაბიშვილს წარედგინა და აღმკვეთი ღონისძიება განხილული იქნა სწორედ ამ ქალაქში. ადვოკატებს შეუძლიათ საქმის მასალები ნახონ რომელშიც მითითებულია, რომ გამოძიება აღნიშნულ საკითხთნ დაკავშირებით დეკემბერში სწორედ ქუთაისში დაიწყო“,** - განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გუშინ განცხადება გაავრცელა ვანო მერაბიშვილმა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი მის წინააღმდეგ წაყენებული ერთ-ერთი ბრალდების თაობაზე სასამართლო პროცესის დაწყებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ადვოკატებთან ერთად ყველაფერს გააკეთებს. მერაბიშვილი ამბობს, რომ ის პოლიტიკური პატიმარია და რომ მისი დაპატიმრება „ნაციონალური მოძრაობის“ დასასუსტებლად მოხდა.

**„ძალიან კარგად მესმის, რომ ეს პოლიტიკური პროცესია და მე ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკური პატიმარი ვარ. ისიც მესმის, რომ ჩემი დაპატიმრება მოხდა მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დასასუსტებლად და მოახლოებული არჩევნების წინ ჩვენი პარტიის რიგებში დაბნეულობისა და დეზორგანიზაციის შემოსატანად. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო საზოგადოებისთვის - ქუთაისის სასამართლოში ეს საქმე წამოიღეს მხოლოდ იმიტომ, რომ პროკურატურას მოსამართლე ახალბედაშვილისგან გარანტია ჰქონდა მიღებული, რომ ის გამოიტანდა ჩემი წინასწარ პატიმრობაში აყვანის სრულიად დაუსაბუთებელ და უკანონო განაჩენს. შემდეგი ნაბიჯი იყო, როდესაც მოსამართლე გურულს გადაწყვეტილება ძალაში დაატოვებინეს. ესეც უპრეცედენტო დარღვევაა! მოსამართლე გურული საერთოდ არ იყო უფლებამოსილი, განეხილა ეს საკითხი. საქართველოს კანონმდებლობით, ამ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლება, მიეღო გადაწყვეტილება, მაგრამ იმდენად დიდია ივანიშვილის სურვილი, რომ მე ციხეში ვიყო, მთავრობა ამ პროცედურულ დარღვევებზეც წავიდა“,** - აცხადებს მერაბიშვილი.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ ამ დარღვევებს სტრასბურგის სასამართლო შესაბამის ყურადღებას მიაქცევს და საზოგადოება დარწმუნდება, რომ საქმე პოლიტიკურ დევნასთან გვაქვს.

**„როგორც საერთაშორისო, ისე ქართული საზოგადოება მალე დარწმუნდება, რომ სახეზეა მხოლოდ პოლიტიკური დევნა და ამ ყველაფერს საერთო არ აქვს სამართალსა და სამართლიანობასთან. ყველა ჩემს გულშემატკივარს კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვეუბნები სამართლებრივი ბრძოლის ამ ახალი რაუნდის დაწყების წინ“,** - აღნიშნულია ვანო მერაბიშვილის განცხადებაში, რომელიც Facebook-ის მეშვეობით გავრცელდა.

## გიორგი მარგველაშვილი - შარშანდელი სახელმძღვანელოები მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული

საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრის, პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის ინფორმაციით, შარშანდელი სასკოლო სახელმძღვანელოები მხოლოდ გაუთვალისწინებული შემთხვევებისთვის არის გათვალისწინებული.

როგორც მარგველაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ახალი უფასო სახელმძღვანელოების ტირაჟი გათვლილია საჯარო სკოლების ყველა მოსწავლისთვის.

„ჩვენ ვთქვით, რომ ყველა ბავშვს ექნება სახელმძღვანელო უფასოდ და ეს ასე ხორციელდება. რაც შეეხება იმას, მოხდება თუ არა შარშანდელი სახელმძღვანელოების გამოყენება. განათლების სამინისტროში გადავამოწმე ინფორმაცია, რომ ყველა ბავშვს დაურიგდება სახელმძღვანელო და შარშანდელი ტირაჟი გამოყენებული იქნება მხოლოდ როგორც გარკვეული დაზღვევის საშუალება იმ შემთხვევებში, სადაც შესაძლებელია მოხდეს გარკვეული გაუთვალისწინებელი შემთხვევები. ყველა ბავშვს ექნება უფასო სახელმძღვანელო, ეს ყველაფერი დასტამბულია. ეს იყო პროექტი, რომელმაც რეალურად შეცვალა ყოფა ყველა სკოლაში. მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის არის განკუთვნილი ეს ტირაჟი. ამხელა დიდ პროექტში შესაძლოა, იყოს რაღაც მცირე პროცენტი გაუთვალისწინებელი შემთხვევების და სადღაც იყოს საჭიროება წინა წლის წიგნის გამოყენების საჭიროება“, - აღნიშნა მარგველაშვილმა.

რაც შეეხება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორც მარგველაშვილი აცხადებს, ამაზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად კომპეტენტური უწყება განათლების სამინისტროა.

ახალ სასწავლო წელს უფასო ახალი სახელმძღვანელო შესაძლოა, ყველა მოსწავლემ ვერ მიიღოს. არსებული ინფორმაციით, ახალ სახელმძღვანელოებთან ერთად, წელს სკოლებში დარიგდება ის წიგნებიც, რომლებიც სოციალურად დაუცველმა მოსწავლეებმა წინა წლებში უფასოდ მიიღეს, გამოიყენეს და სკოლას დაუბრუნეს.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროში დაუდასტურეს.

როგორც უწყებაში განმარტავენ, წიგნების გადანაწილების დროს შესაძლოა, მოსწავლეს გამოყენებული, მაგრამ კარგად მოვლილი სახელმძღვანელო შეხვდეს. სამინისტროში აცხადებენ, რომ ასეთი სახელმძღვანელოები მაღალი ქულით არის შეფასებული და ძალიან მცირე რაოდენობით დარიგდება.

გასულ წლებში სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს სახელმწიფო უფასოდ ურიგებდა, თუმცა სასწავლო წლის ბოლოს ისინი სკოლას წიგნებს უბრუნებდნენ. ყველა დანარჩენი მოსწავლისთვის კი, სახელმძღვალნელოები ფასიანი იყო.

ამასთან, რაც შეეხება სახელმძღვანელოების ყველა მოსწავლისთვის უფასოდ დარიგებას, ამის შესახებ გადაწყვეტილება განათლების ყოფილმა მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა აპრილში მიიღო.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ლია თევდორაშვილს მამის
**აბესალომ თევდორაშვილის**
გარდაცვალების გამო.

---



**ვანიკო მელიქიძის ტკივილიანი გახსენება**

მეოთხედ მოვიდა თავზარდამცემი 8 სექტემბერი და 14 სექტემბერი-დაბადების დღიდან 25წელი. ძალიან გვიყვარხარ და გვაკლიხარ ჩემო გამწარებულო ბიჭო ვანი. თამამად მეთქმის, ყველასთვის საყვარელი იყავი, მეგობრული და მშრომელი. რა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი, რომ ასეთი უაზრო ცხოვრების გაგრძელება არგუნე დედ-მამას, ჩვენც არანაკლები, ყველა დანარჩენ ახლობლებს, მათთვის მხოლოდ ხატიაა ნათელი წერტილი. ყველაფერს აკეთებენ შენი სულის სასუფეველში დამკვიდრებისთვის. ღმერთს ვთხოვ ნათელში გამყოფოს.

***მიყვარხარ, გეფერებით მამიდა-ოჯახი***

## ავღანეთი: ნატოს იერიშს მშვიდობიანი მოქალაქეები ემსხვერპლნენ

ავღანეთის ხელისუფლების განცხადებით, ავღანეთის პროვინცია კუნარში, ნატოს მიერ განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად, 15 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეებიც.

თუმცა, ნატოს პრესსამსახურის წარმომადგენელმა ბი-ბი-სი“-ს განუცხადა, რომ შაბათს განხორციელებული წერტილოვანი დარტყმის შედეგად ათი შეიარაღებული მებრძოლია მკვდარი და მათი ინფორმაციით, იერიშს მშვიდობიან მოქალაქეებში მსხვერპლი არ მოჰყოლია.

თებერვალში ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს ნატოსათვის დასახლებულ პუნქტებში სამხედრო ოპერაციების ჩატარებაში დახმარების თხოვნა აუკრძალა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კუნარის პროვინციაში ღამის ავიაიერიშს ათი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვები და ქალები.

როგორც ცნობილია, ნატო ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის პროცესს 2014 წლის ბოლოსათის დაასრულებს.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში კუნარის პრივინციაში თალიბებისა და ამერიკისა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების შორის არაერთი შეტაკება მომხდარა.

## აფხაზეთში რუსი დიპლომატი მოკლეს

ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ორშაბათს რუსი დიპლომატი დმიტრი ვიშერნევი სოხუმში მოკლეს. წინასწარი ინფორმაციით, რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი საკუთარი სახლის გარაჟში ადგილობრივი დროით დილის 08:30 საათზე მოკლეს.

აფხაზეთის პროკურატურამ მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრა. ამასთან, დაჭრილია დიპლომატის მეუღლე, რომელიც ახლა საავადმყოფოში იმყოფება.

## ავსტრალიის საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა

ავსტრალიის საპარლამენტო არჩევნებში ტონი ებოტის ოპოზიციურმა ლიბერალურ-ნაციონალურმა კოალიციამ გაიმარჯვა. ხმის მიცემაში 14 მილიონმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა.

მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა კევინ რუდმა დამარცხება უკვე აღიარა. შეგახსენებთ, რომ რუდმა ამ თანამდებობაზე ჯულია გილარდი ივნისში ჩაანაცვლა.

ებოტი 1957 წელს დიდ ბრიტანეთში დაიბადა. მას ადრე ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობა ეკავა.

## ეგვიპტელ მინისტრზე თავდასხმა ალ ქაიდამ“ მოაწყო

ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრ მოჰამედ იბრაჰიმზე თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ალ ქაიდას“ შვილობილმა დაჯგუფებამ ანსარ ბეით ალ-მაქდისმა“ აიღო.

ისლამისტური შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერი ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ღმერთს მადლობას უხდის, რათა ამ ტერაქტის მოწყობა შეძლეს. ასევე, იგი პატიებას ითხოვს იმის გამო რომ ტირანის მოკვლა“ ვერ მოახერხეს.

შეიარაღებული მებრძოლები პირობას დებენ, რომ ეგვიპტის თავდაცვის მინისტრ აბდელ ფატაჰ ალ-სისიზეც მოაწყობენ თავდასხმას. ამ მინისტრებს ისლამისტები არმიის მიერ გადაყენებულ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის ასობით მხარდამჭერის მკვლელობაში ადანაშაულებენ.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტის თავდაცვის მინისტრზე თავდასხმა 5 სექტემბერს მოხდა. შეიარაღებულმა მებრძოლებმა ის მანქანა დანაღმეს, რომელიც მინისტრის სახლთან ახლოს იდგა. აფეთქების შედეგად, ერთი ადამიანი დაიღუპა, თავად მინისტრი არ დაშავებულა.

## სომხეთს ევროკავშირთან ურთიერთობა სურს, მხოლოდ საბაჟო კავშირში გაწევრიანებაში ხელის შეშლის გარეშე

სომხეთი მზადაა ევროკავშირთან, სხვადასხვა მიმართულებით, მჭიდრო თანამშრომლობა გააგრძელოს, რამდენადაც ეს მისაღები იქნება ევროკავშირისათვის და ამასთან, საბაჟო კავშირში სომხეთის გაწევრიანებას არ შეუშლის ხელს. აღნიშნულის შესახებ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედვარდ ნალბანდიანმა ვილნიუსში ლიტველ კოლეგა ლინას ლინკევიჩიუსთან შეხვედრისას განაცხადა.

მინისტრებმა ის საკითხები განიხილეს, რომლებიც სომხეთის საბაჟო კავშირში გაწევრიანებას ეხება. ასევე, ამ კონტექსტში სომხეთსა და ევროკავშირს შორის შემდგომ ურთიერთობებზე ისაუბრეს.“-საუბარია სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტების ვლადიმერ პუტინისა და სერჟ სარქისიანის შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებას აპირებს.

## პარიზში 2 მილიონი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა მოიპარეს

ორშაბათს ღამით მძარცველებმა პარიზის ცენტრში მდებარე საიუველირო მაღაზიის ვიტრინები ჯიპით“ შეანგრიეს და დაახლოებით ორი მილიონი ევროს ღირებულების ძვირფასეულობა მოიპარეს. აღნიშნულის შესახებ ფრანგული მედიასაშუალებები აცხადებენ.

ინციდენტი ადგილობრივი დროით 04:30 საათზე, პარიზში ვანდომს მოედანთან ახლოს მოხდა. როდესაც დანაშაულის ადგილს ტოვებდნენ, მძარცველებმა ის მანქანა, რითიც მივიდნენ, მაღაზიასთან ახლოს დაწვეს. ჯერ უცნობია, მოპარული საათებისა და სამკაულის მწარმოებელი. იმ რაიონში, სადაც ძარცვა მოხდა, ბევრი საიუველირო ბუტიკი მდებარეობს. ამ დროისათვის გაძარცვულ მაღაზიაში ბანდიტიზმთან ბრძოლის პარიზის ბრიგადის თანამშრომლები მუშაობენ.

# კერი: სირიაზე დარტყმას საუდის არაბეთიც უჭერს მხარს

კერის თქმით, საუდის არაბეთი ერთ-ერთი ქვეყანა იქნება, რომელიც იმ განცხადებას მოაწერს ხელს, სადაც გასულ თვეში სირიის სამხედრო ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებაა დაგმობილი. საუდის არაბეთს მისი რესურსებიდან გამომდინარე, სერიოზული სამხედრო დახმარების აღმოჩენა შეუძლია მისი დასავლელი მოკავშირეებისათვის. თუმცა, როგორც სი-ენ-ენი“ წერს ეს ქვეყანა, სავარაუდოდ, უშუალოდ დარტყმაში მონაწილეობას არ მიიღებს.

კვიპროსმა კი, რომელიც სირიიდან 100 კმ-ში მდებარეობს, ორშაბათს ნათლად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელმა ქრისტოს სტლიანიდესმა განაცხადა, რომ ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემთხვევაში, ქვეყანა ამ ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს და კვიპროსის რესპუბლიკის კონტრიბუცია ჰუმანიტარულ საზღვრებს არ გასცდება.

შეგახსენებთ, რომ 21 აგვისტოს დამასკოსთან ახლოს, სირიის ოპოზიციის მტკიცებით, ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას 1429 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ქალები და ბავშვები. ამის შემდეგ ამერიკამ, რომელსაც ადრე უკვე გაცხადებული ჰქონდა, რომ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება წითელი ხაზის“ გადაკვეთა იქნებოდა, აქტიურად დაიწყო სირიაში სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე საუბარი.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადებით, იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მზად არიან ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში მიიღონ მონაწილეობა ორნიშნა რიცხვებით“ აისახება.

პარიზში გამოსვლისას, სადაც იგი არაბული ლიგის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შეხვდა, კერიმ აღნიშნა, რომ მსოფლიო მშვიდად არ უნდა ადევნებდეს თვალს სირიაში მიმდინარე ბრძოლებს, სადაც ქვეყნის მთავრობა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს იყენებს.“

ჯონ კერი ევროპაში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. პარიზში იგი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტს ლორან ფაბიუსს შეხვდა. ევროპული ტურნე მან ორშაბათს ლონდონში დაასრულა, სადაც მის კოლეგა უილიამ ჰეიგს შეხვდა. როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთი სირიაში შესაძლო სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ვინაიდან ქვეყნის პარლამენტმა აღნიშნულის წინააღმდეგ მისცა ხმა. ჰეიგთან შეხვედრის შემდეგ, კერიმ ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ბრიტანეთის გადაწყვეტილებისა, ეს ორი ქვეყანა ნამდვილ მეგობრებად“ რჩებიან. უილიამ ჰეიგის თქმით, მთავრობა ვაშინგტონის მხარდასაჭერად დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ფრონტზე აქტიურ მუშაობას გააგრძელებს.

უილიამ ჰეიგთან შეხვედრის ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ერთადერთი რაც ამერიკას სირიაზე დარტყმას გადააფიქრებინებდა იქნებოდა ის, რომ ასადის მთავრობას მისი ქიმიური იარაღის მარაგი საჯარო გაეხადა, რაც დიპლომატის თქმით ნაკლებად არის მოსალოდნელი.

სირიის მთავრობა კი კატეგორიულად აცხადებს, რომ ქიმიური იარაღი არ გამოუყენებია და აღნიშნულში ამბოხებულებს ადანაშაულებს. როგორ ამერიკელი ჟურნალისტი ჩარლი როუზი აღნიშნავს, რომელმაც ასადთან ინტერვიუ ჩაწერა, პრეზიდენტმა ქიმიური იარაღის გამოყენება კატეგორიულად უარყო და აღნიშნა, რომ თუ ამერიკა და მისი მოკავშირეები სირიაზე სამხედრო დარტყმას განახორციელებენ, ამას სირია უპასუხოდ არ დატოვებს. ასადის თქმით, არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ მისმა მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა. PBS-სათვის მიცემულ ინტერვიუში, ასადმა არც უარყო, არც დაადასტურა მისი მთავრობის მიერ ქიმიური იარაღის ფლობა, თუმცა განაცხადა, რომ ასეც რომ იყოს მასზე ცენტრალიზებული კონტროლი იქნებოდა დაწესებული.“

ასადმა ისიც დაამატა, რომ სირიაში სამხედრო ოპერაციის შემთხვევაში, სამაგიეროს გადახდაზე მისი მოკავშირეებიც იფიქრებენ. სირიის მოკავშირეებად კი დღეისათვის მოიაზრებიან-ჩინეთი და რუსეთი, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოში სირიის რეჟიმის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას ბლოკავენ; ასევე ირანი და ჰეზბოლა“ ლიბანში.

ჩვენთვის გასაკვირი არ არის, რომ ის ვინც საკუთარი ათასობით მოქალაქე, მათ შორის ბავშვები მოკლა მომწამვლელი გაზით, ამის შესახებ კვლავ ცრუობს.“-განაცხადა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენელმა ბერნადეტ მეეჰანმა.

ამ კვირაში კი ამერიკის მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით კონგრესის საბოლოო გადაწყვეტილება გახდება ცნობილი. ცოტა ხნის წინ, ასევე, ცნობილი გახდა, რომ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ერს სამშაბათს მიმართავს.

გაეროს ექსპერტების დასკვნა კი, რამაც დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღის გამოყენება უნდა დაადასტუროს ან უარყოს, 2-3 კვირაში გახდება ცნობილი. გაერომ მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა არ იფიქრონ სამხედრო ოპერაციის დაწყებაზე მანამ, სანამ დასკვნა არ დაიდება.

ამასთან, ზოგიერთი ექსპერტი მიუთითებს, რომ საკითხავია რატომ დასჭირდა ასადს ქიმიური თავდასხმის შესახებ ბრძანების გაცემა:“ასადს ამ ეტაპზე ქიმიური იარაღის გამოყენების მოტივი არ ჰქონდა, ის ისედაც იგებს ბრძოლებს.“-დაწერა CNN Opinion-ის სვეტში საგარეო ურთიერთობების საბჭოს“ ექსპერტმა ედ ჰუსეინმა.

მისი ვარაუდით, ქიმიური თავდასხმის უკან, შესაძლოა, ალ-ნუსრას ფრონტი“(ალ-ქაიდას შვილობილი) ან სხვა ოპოზიციური ელემენტები დგანან, რომლებმაც ქიმიური იერიში იმის გამო მოაწყვეს, რომ ამერიკა კონფლიქტში ჩაბმულიყო. ედ ჰუსეინის პოზიციას უილიამ პოლკიც იზიარებს, რომელიც კუბის სარაკეტო კრიზისის და 1967 წლის ახლო აღმოსავლეთის ომების დროს ამერიკის ადმინისტრაციაში მსახურობდა:“მე არ მესმის რისი მიღება შეეძლო ასადს ამ ქიმიური თავდასხმიდან.“-აღნიშნავს პოლკი.

ამასთან, ამერიკის ორპარტიული პოლიტიკის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში საუბარია, რომ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ მეამბოხეების გვერდით ყველაზე აქტიურად ალ-ნუსრას“ ფრონტი იბრძვის. მოხსენებაში საუბარია, რომ მსოფლიოში ძალიან ცოტა ადგილია, სადაც ამ დაჯგუფებას ფეხი აქვს მოკიდებული და ის ადგილი სადაც ალ-ნუსრა“ ყველაზე კარგად მოქმედებს-სირიაა.“-საუბარია მოხსენებაში, რომლის სახელწოდებაც არის ჯიჰადისტების ტერორიზმი: საფრთხის შეფასება.“

9 სექტემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მოსკოვში სირიელ კოლეგა ვალიდ ალ-მუალამს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ გამართულ კონფერენციაზე მინისტრებმა ამერიკას მოუწოდეს სამხედრო დარტყმის ნაცვლად, სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენციის მოწყობაზე იფიქროს.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, პრეზიდენტმა ასადმა მას ვლადიმერ პუტინთან დიდი ოცეულის შემდეგ და მანამდეც დაფიქსირებული პოზიციის გამო მადლობის გადახდა“ დაავალა.

# მოსკოვის მერის არჩევნებში სობიანინმა გაიმარჯვა

**თამთა კახაძე**

8 სექტემბერს, კვირას, მოსკოვის მერის არჩევნები გაიმართა. ორშაბათს მოსკოვის საქალაქო საარჩევნო კომისიამ განაცხადა, პროტოკოლების 100%-ის დამუშავების შემდეგ, გამოვლინდა რომ მოსკოვის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი სობიანინმა არჩევნებში ხმების 51,37% მიიღო. ოპოზიიცის კანდიდატმა სერგეი ნავალნიმ კი 27,24%. მესამე ადგილზე რუსეთის კომუნისტური“ პარტიის წარმომადგენელი ივან მელნიკოვი გავიდა. შემდეგ მოდის პარტია იაბლოკოს“ ხელმძღვანელი სერგეი მიტროხანოვი, რომელმაც ხმების 3,51% მიიღო. მხოლოდ 2,86% მიიღო ლიბერალ-დემოკრატიული“ პარტიის წარმომადგენელმა მიხაილ დეგტიარევმა; სპრავედლივაი როსიას“ ხელმძღვანელმა ნიოლაი ლევიჩევმა კი ხმების 2,79% მიიღო. თავად არჩევნებზე დასწრება საკმაოდ დაბალი იყო-32%. ამის მიზეზად სობიანინმა ის სეზონი დაასახელა, რომლის დროსაც ხმის მიცემა გაიმართა. მისი თქმით, იგი ნებისმიერი შედეგისათვის იყო მზად.

წინასწარი მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ მერის არჩევნების მეორე ტური აღარ გაიმართება.“-განაცხადა საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ვალენტინ გორბუნოვმა.

ოპოზიციონერმა ალექსეი ნავალნიმ უკვე განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებს არ აღიარებს. მან ხმის მიცემის შედეგების გაუქმება და მეორე ტურის ჩატარება მოითხოვა. მან არჩევნების შედეგებს გაყალბებული უწოდა. სხვა მონაწილეების კი ხმების დათვლასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

თუ მოსკოვის მერია ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას მოსკოველები სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციაზე მოვიწვიოთ.“-განაცხადა ნავალნიმ დოჟდის“ ეთერში.

ორშაბათ დილით სობიანინი მის მხარდამჭერებს პუშკინის მუზეუმში შეხვდა, სადაც მილოცვები მიიღო და მის დამარცხებულებს უმრავლესობის აზრთან“ შეგუებისაკენ მოუწოდა. სობიანიანმა, ასევე, განაცხადა, რომ მზად არის ნავალნისთან შესახვედრად. 8 სექტემბრის საღამოს კი სობიანინი ბალოტნაიას მოედანზე მივიდა, სადაც მის საპატივცემულოდ კონცერტი გაიმართა. გამოსვლისას სობიანინმა აღნიშნა, რომ ეს ყველაზე ღია და კონკურენტული არჩევნები იყო ქალაქის არჩევნების ისტორიაში.“

ნალავნის განცხადებით, თუ მეორე ტური არ გაიმართა, საკუთარი მხარდამჭერების ქუჩაში გამოიყვანს:“თუ მერია და კრემლი ხალხის მოთხოვნას უგელებელყოფს, ჩვენ ყველას ქალაქის ქუჩებში გამოსვლისკენ მოვუწოდებთ. სობიანინს ხმების 51%-ის მიღება მხოლოდ გაყალბების გზით შეეძლო.“-განაცხადა ნავალნიმ.

სობიანმა კი აღნიშნა, რომ ნავალნის მაღალი შედეგებით გაკვირვებული არ დარჩა:“ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ამაზე მიუთითება.“

მისი თქმით, ხალხს ყველა შესაძლებლობა მისცეს საარჩევნო უბნებზე, და არა მიტინგებზე, მისულიყვნენ და იქ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, თუ ვინ იყო უკეთესი.“

9 სექტემბერს ნავალნიმ, ასევე, განაცხადა, რომ მზად არის სობიანინის შტაბთან მოლაპარაკება დაიწყოს. მისი თქმით, იგი ხმების ხელახლა გადათვლასა და ვიდეოჩანაწერების ანალიზს ითხოვს ყველა პრობლემურ“ უბანზე.

ორშაბათს საღამოს ნავალნის მხარდამჭერებმა არჩევნების შედეგების განსახილველად, ბალოტნაიას მოედანზე, სანქცირებული მიტინგი გამართეს. მოსკოვის ხელისუფლებამ დემონსტრანტები წინასწარ გააფრთხილა, რომ თუ ვინმე კანონის დარღვევას მოინდომებს, პოლიცია მათ დაწყნარებას შეეცდება.“

რეგიონალური უსაფრთხოების საქალაქო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ალექსეი მაიოროვის განცხადებით მერის არჩევნებთან დაკავშირებით, ქალაქში სამართალდამცავი ორგანოების რესურსი გაზრდილია.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვს მერის არჩევნები 2003 წლიდან მოყოლებული პირველად ჩატარდა. 2003 წლის არჩევნების დროს არჩევნებზე დასწრება 57,7%-ს შეადგენდა.

**სასკოლო სახელმძღვანელოები საგამომცემლო ფასში**

აბიტურები, ტესტები, საატესტაციო წიგნები და სხვა დამხმარე ლიტერატურა.

**სასკოლო საკანცელარიო ნივთები**

ვაჟა-ფშაველას 43,
„დელისის მეტროსთან“
პროფკავშირების კულტურის ცენტრში

595 11 32 33
571 11 32 33

# ლენინი და სტალინი ნიუ იორკში

პირველი გვერდიდან

ამიტომ ბრაიტონის ბიზნესებმა, რომელიც, როგორც წესი, ყოფილ საბჭოელებსა და ებრაელური ლობის წარმატებული საქმიანობის გამოისობით აშშ-ში ჩამოსული რუსეთის ყოფილი მოქალაქეების მფლობელობაშია, ან დახურეს თავიანთი მაღაზიები, აფთიაქები ანდა წითელი ძრავები" შეიძინეს. ამიტომ რაღაც პერიოდი ბრაიტონი XX საუკუნის საქართველოს 90 - იანებს დაემსგავსა, ოღონდ არა ქართული გინებით, არამედ - რუსული მაწ ტვოიუ"-ს რეფრენით. თუმცა ქართულ სიტყვაკაზმულს მანდაც გაიგონებ. იმ შემთხვევაში თუ, ქართველი ნარკომანებისა და ალკოჰოლიკების მინიბირჟას ჩაუვლი. ჩემში კი ეგ ზოტიკადაკარგული დენის სადგურები" ღიმილის, აბსურდის მსუბუქი შეტევისა და ნოსტალგიის" გარდა არაფერს იწვევს. იმ პერიოდში ბრაიტონზე ალკოჰოლური სასმელის მაღაზიებში გაფუჭებული ხვანჭკარას" გორაკები ეწყო. სასმელის ბოთლის შიდა ზედაპირს საცობის ქვევით მწვანე ბამბის" ნალექი გაჰყვებოდა. გორაკს ეწერა: 2 ცალი 5 დოლარად". რუსი ალკაშები" გახარებული იდგნენ ამ გორაკების წინ, ხმამაღლა ბჭობდნენ, ბოთლების ტკაცა-ტკუცით გაფუჭებული ღვინის საწყობიდან" შედარებით საღს" ირჩევდნენ და ასეთივე გახარებული სახეებით გულთან მიხუტებული ღვინის ბოთლებით მიემართებოდნენ ხუთი რუბლის" გადასახდელად. საქმე კი იმაში გახლდათ, რომ ღვინო შენახვის წესის დარღვევის გამო უბრალოდ გაფუჭდა, მაგრამ ბიზნესის პატრონი მას მაინც ჰყიდდა, რადგანაც მხოლოდ ბრაიტონზე შეიძლება გაუჩნდეს მის საქონელს მყიდველი ანდა საკვების ინსპექციამ" არ შემოიაროს. ამიტომ შესაძლებელია 1-2 დღით მაინც გარისკო", როგორც რუსები ამბობენ, ნა ავოსь" და უვარგისს დოლარი გააგდებინო. კრემლიდან ათაოსობით კილომეტრის დაშორებით, ატლანტიკის ოკეანესთან მდებარე ამერიკულ ქალაქში საბჭოთა კავშირის მსუბუქი აუტუნლობა" დგას. უცებ გამახსენდა ანტრაქტიდაშიც რომ დგას სსრკ-ის ფუძემდებლის - ლენინის ოქროსფერი ბიუსტი და მის ქვეშ შთაბეჭდილებების წიგნიც" რომ მოიძებნება, მაგრამ ბრაიტონი მაინც სხვაა. აქ რუსი ჰაკერები ცხოვრობენ, როგორც ერთმა ემიგრანტმა, კაგებეს ყოფილმა ოფიცერმა მითხრა ინტერვიუში და თავის სამშობლოს ამჯერად ისევ ამერიკული ტრენდით, კომპიუტერული ტექნოლოგიების კარგად ათვისებით ეხმარებიან. აქ კომუნისტური სამოთხის" ნაგლეჯები კი ისე ცოცხალია, რომ ხანდახან გგონია ვრემიას" ტელევიზია დილას სსრკ-ის ჰიმნს დასჭექს და ბრაიტონზე სახელმწიფოსგან სუბსიდირებული კორპუსების წინ ჩამომსხდარი რუსი, უკრაინელი თუ შუააზიელი ბაბუები თუ ბებიები, რომლებიც რამდენი ყური მოვკარი მათ საუბარს, იმეორებენ უ ნას ვ სოიუზე", კაკუიუ სტრანუ რაზვალილი", უცებ ფეხზე წარმოხტებიან და ამერიკული მანერით მარჯვენა ხელის მტევანს გულთან მიიდებენ.

სსრკ ისევ აქაა, როცა ირანულ მაღაზიაში, სადაც ათასგვარი თხილი თუ ზეთისხილი იყიდება, სალაროსთან მდგომი მოლარე ქალი რუსულად გეკითხება: ა ბუმაჟეჩკუ ხაწიწე?". ბუმაჟეჩკა" კი ჩეკია, რომლის ამობეჭდვა/არამობეჭდვის შესახებ არასაბჭოელს კითხვა არასოდეს დაებადება. ღვინის მაღაზიაში ფოტოს დაგაღება აკრძალულია (ადრე ქართულ ღვინოებს ერთობლივი ფოტო გადავუღე და გამყიდველი აღშფოთდა, თითქოს ღვინის ეს საგამოფენო დარბაზი" რარიტეტის დამცავი მეტროპოლიტენ მუზეუმი იყოს), ამიტომ გამოვდივარ და ამ საჭაშნიკეს" ფოტოს გარედან ვუღებ. მინის ვიტრინის იქეთ წითლად საშუალო ზომის ნამგალი და უროა ანთებული. მეპატრონეს პროლეტარიატ-კოლმეურნეების ეს სიმბოლოც გენერატორზე აქვს შეერთებული", დღისითაც კი არ ენანება ფული და შიგნიდან ატლასის ნაჭერზე გამოდებულ ესპანურ და მექსიკურ სასმელებს ათბობს". მარკეტინგული ილეთია. ჩაშაქრებული მოგონებები" კარგი საბაზრო-საბრენდო სატყუარაა.

ბრაიტონზე ინგლისური არ გჭირდება. ინგლისურადაც რომ იკითხო რაიმე, მაინც რუსულად გიპასუხებენ. ანდა, მაინც თუ გაითამაშებ, რომ არ გესმის ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლის ენა, თუ ასაკოვანია, ფამილიარული შემოგძახებს: და ბროს პრიკიდივაწსია"... ქუჩის გასწვრივ გაშლილ მაგიდებზე სსრკ-ის დროინდელი გაყვითლებული, დალაქავებული და პირდაღებული წიგნებია, ფასები 2-3 დოლარი; მეპატრონეს გარშემო, როგორც წესი, ასაკოვანი მამაკაცები იკრიბებიან და ან ამერიკული სამედიცინო დაზღვევის ავკარგიანობაზე ანდა საბჭოეთის დროინდელი ახალგაზრდული წლების ტკბილ უპირატესობაზე ხმამაღლა ბჭობენ. ამ კაპიტალისტური სოციალიზმის" გამზირის გასწვრივ მეტროს გაჩერებასთან აუცილებლად ზის მეგარმონე, რომელიც თავის დამტვერილ ინსტრუმენტს ისე წელავს და ისე მღერის პოდმოსკოვნიე ვეჩერას" და მერე აუცილებლად ისევ რესულად (რასაკვირველია) სულიკოს" მიაყოლებს, რომ, აი, გრძნობ, რომ ამ სცენის სრული ტრაგიკომიკურობის აღწერისთვის არც სიტყვების მარაგი გყოფნის და არც ნიჭი. როგორც წესი, მაგიდის თავზე ბახრამიანი" რუსული თავშალები და ჩინური, გამჭირვალე, ჭრელა-ჭრულა სკარფები" გაეროს დროშებივით ფრიალებენ. წიგნების ყდების ერთი თვალის გადავლება უფრო გიძლიერებს დე ჟავიუს განცდას. ბრაიტონზე Bank of Americas -ს წინ დახლზე რამდენიმე პარტიის ყრილობაზე ლენინ-სტალინის მოხსენებების კრებულის გვერდით ნაბოკოვის ლოლიტა" და ალექსანდრე მენის აპოკალიფსისის კითხვისას" დევს... თავზე მეტროს გამაყრუებელი გრუხუნით მატარებელი ჩერდება. არ მიყვარს ბრაიტონი... აქ საბჭოთა კავშირია... და არსად ისე უტიფრად არ დადღანებს მატარებელი, როგორც აქ და მისი რიტმიკა რატომღაც დაუმტავრებელ მშენებლობების ასოციაციურ ხატებს მიღვიძებს.აი, რისილად რომ დოლგოსტროის" უწიდებდნენ. თუ გვერდით მეგობარს ესაუბრები ან ვინმეს ტელეფონზე, სანამ მატარებელი გაჩერდება და დაიძვრება, საუბარს წყვეტ. და მერე ზუსტად ორ წუთში საპირისპირო მხრიდან მოპირდაპირე ქუჩის მხარეს უკვე მეორე მატარებელი მოდის და ამიტომ იძულებული ხარ ისევ დადუმდე. თუ აქეთ-იქეთ მიმავალი მატარებელი ერთბაშად მოვიდა-წავიდა, გამაყრუელებელი ხმისგან თავდაცვა მხოლოდ ყურის სპეციალური საცობებია (აფთიაქში იყიდება), რომელიც მეც მაქვს და თუ არ დამავიწყდა, ვიკითებ, როცა ბრაიტონზე ვარ. აქ ორი ხაზის მატარებელი მოძრაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ 10 წუთის საუბრის განმავლობაში 8 წუთი - დუმილობთ. ბრაიტონზე ქართული ღვინის საყიდლად მივდივარ ხოლმე ანდა ზაფხულში ოკეანის ნაპირზე გასარუჯად. ისიც, როცა ქალაქს სძინავს. აბა, დილის 10-11 საათის შემდეგ შეუძლებელია აქ სუნთქვა და მზეც ისე აუტანლად საძულველი ხდება, რომ გინდა წამში დადნეს და ოკეანეში ჩაიღვაროს ანდა კი არ ჩაიღვაროს, არამედ ეგრევე ისეთი ზღართანი მოადინოს, რომ შხეფებმა გვერდზე დაწყობილი რეზინის ლასტებიც და მეგარმონეს ინსტრუმენტიც დაასველოს, როგორც დიადი ზღართანისა და ამ პარასაბჭოური მოგონებების ჩაძირვის მტკიცებულება. ნიუ იორკული მზე ერთადერთი სუბსტანციაა, რის გამოც არც სტალინი გახსოვს, არც მისი ძეგლ- სახლ-მუზეუმური ვნებები და, საერთოდ, არც ერთი მუზეუმი და არც უძრავ-მოძრავი რამ დედამიწის ზურგზე... კონდინციონერისა და გაყინვის ტემპერატურამდე მიყვანილი ლუდის გარდა.

ბრაიტონის Liquor Store - ები („ალკოჰოლური სასმელის მაღაზია") ამერიკულ-ევროპულ - საბჭოური თხევადი სტილის" ეკლექტიზმის სრულიად უნიკალური გალერეაა. რუსული შამპანიურები სოვეტსკოე", იუბილეინოე", Vodka Smirnoff", კალიფორნიული Pinot Grigio Parducci", იტალიური Sparkling Rosa Regale", არგენტინული Chardonnay Santa Julia" , ქართული ქინძმარაული" და რქაწითელი" - მინის თუ თიხის ჩუქურთმოვან- კინტოურ ტარაში (ფასი 7 დოლარიდან 20-30 დოლარამდე და მეტიც, მოცულობის მიხედვით), ამერიკული Vodka Georgi" პოპკორნისა და ვაფლის გემოთი (სწორედ ასე აწერია იარლიყს და მანჰეტენზე აქა - იქ კერძო სატრანსპორტო საშუალებებზე გიორგის" დიდ რეკლამასაც მოჰკვათ ვვალს) და რუმინული Vodka Stalinskaya". ერთხელ გამყიდველსაც გამოველაპარაკე (მგონი, ჩინელი იყო, საშუალო ასაკის): რატომ ჰყიდით ამ არაყს, იცით სტალინი" რას და ვის ნიშნავს- მეთქი? მიპასუხა, რომ ვერ გაიგო რა ვკითხე და თუ ცოტას დავიცდიდი, მენეჯერს დამალაპარაკებდა, რომელიც სადღაც გავიდა... ხუთი წუთი დავიცადე და ვერ მოვითმინე. წავედი. ჩავთვალე, რომ ერთი ბანალურად უაზრო საუბარი გვექნებოდა და თან რაც ვიყიდე, არ მინდოდა გზაში ამდუღებოდა. აქაური ტოტალიტარული თაკარა ტენიანობა არც ერთ სხვა პოლიტიკურ რეჟიმს არ სცნობს...

***

ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის საგამოფენო სივრცეებში არაერთხელ შემხვედრია, გაკვრით/ქარაგმით მაინც, საბჭოური ეპოქის ეპიზოდების ექსპოზიციები/ ინსტალაციები, რომელიც ასე თუ ისე სტალინს/საბჭოეთს და სტალინურ/ საბჭოურ სახელოვნებო პერიოდს უკაშირდება. არსებობს გალერეები, რომელიც მთლიანად საბჭოელ, უფრო სწორედ, პოსტსაბჭოელ ხელოვანებს ეთმობა, მათ შორის, ემიგრანტებსაც, სადაც ყოფილი სოციალისტური ბლოკის წარმომადგენელი ქვეყნის მხატვრებთან ერთად ქართველებიც გამოიფინებიან. მაგალითად, ნიუ ჯერსიში რუსული ხელოვნების მუზეუმი" (MoRA); ანდა ნიუ იორკში - Mimi Ferzt Gallery. კალიფორნიის ქალაქ ქულვერში კი მოქმედებს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო Wende Museum -ი (Wende გერმანულად შემობრუნების მომენტს" ნიშნავს), რომელიც ცივი ომისა და მისი შემდგომი პერიოდის ამსახველ კოლექციების ფლობასთან ერთად აშშ-ის ტერიტორიაზე საბჭოეთის ერთგვარ სასწავლო - კვლევით ინსტიტუტსაც წარმოადგენს. მის საცავებში საბჭოური ხანისა და სსრკ-ამერიკის ურთიერთობის ამსახველი 70 000- ზე მეტი ისტორიული არტეფაქტი ინახება. სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) კი საერთოდ სლოვაკი სკულპტორის ემილ ვენკოვის ხუთმეტრიანი ლენინის ძეგლი დგას. ეს მემორიალი" ხან ჯონ ლენონს დაამსგავსეს, ხან სანტა კლაუს, ხან სლებავი შეასხეს და, ისედაც, პერმანენტულად მის გარშემო ადგილობრივები თუ ჩამოსული სტუმრები, როცა მოესურვებათ, კლოუნადას ეწყობენ. ჩემი აზრით, ყველაზე უპრიანი იქნებოდა მისი განთავსება არა ღია საჯარო სივრცეში, არამედ რომელიმე მუზეუმის, თუნდაც - ვენდის" ტერიტორიაზე ანდა... ანტარქტიდაზე. იმ პირველ" ლენინს არ მოეწყინოს... ვირჯინიის პატარა ქალაქ ბედფორდში კი მოკავშირეთა ჯარების ფრანგულ ნორმანდიაში გადასხდომის 66-ე წლისთავზე (2010) რუზველტის, ჩერჩილისა და ტრუმენის ბიუსტების გვერდით ერთა მამის" ქვაში გამოსახული პორტრეტიც გაჩნდა. ამან ადგილობრივი მაცხოვრებლები და ორგანიზაციები აღაშფოთა და ადამიანებმა ხელმოწრების შეგროვება დაიწყეს, რათა ქალაქის მერიას ეს ისტორიული სკულპტურა" ღია საჯარო სივრციდან მოეშორებინა.

***

შარშან ლენინ - სტალინი ნიუ იორკში ხელოვნების მეტროპოლიტენ მუზეუმშიც ვნახე და თან ძალიან ორიგინალური და საინტერესო ფორმით. გამოფენაზე სახელწოდებით გაყალბება: მართვადი ფოტოგრაფია ფოტოშოპის გაჩენამდე" გახლდათ ძალიან მნიშვნელოვანი ექსპოზიცია (200 ნამუშევრზე მეტი გამოიფინა), რომელიც ციფრული ერის დადგომამდე ფოტოიმიჯებით მანიპულირების ისტორიას მიეძღვნა. გამოფენამ მოიცვა პერიოდი 1840 -დან ვიდრე 1990 - იანებამდე, როცა ფოტოგრაფია იდეოლოგიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, პროპაგანდის სამსახურში იდგა. შეღებვა, მონტაჟი, კომბინირებული ბეჭდვა, ორმაგი ექსპოზიცია და სხვაგვარი მეთოდების გამოყენება იმ დროს მხოლოდ სპეციალისტებს შეეძლოთ. დღეს კი ფოტოშოპის ტექნიკის დაუფლება პირველკლასელსაც შეუძლია. გუსტავ ლე გრეი, კარლეტონ ვატკინსი, ედვარდ სტეიჩეინი, ოკსარ რეჯლანდერი, დორა მაარი, ჯონ ბალდესარი ის ცნობილი ფოტომხატვრები იყვნენ, რომელთა ნამუშევრებმა, კერძოდ კი ფოტომანიპულაციებმა/რედაქტირებულმა ფოტოებმა, ფაქტობრივად, ეპოქის ფოტოდოკუმენტალისტიკა, უფრო სწორედ, შეცვლილი რეალობა შექმნა. ოღონდ ისეთი, როგორიც მათ ანდა შემკვეთებს უნდოდათ. ზოგიერთი მათგანი პიქტორიალური ფოტოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელი იყო. ფოტოგრაფიის, რომლის მიზანი ფოტოგრაფიის სახვით ხელოვნებასათან მაქსიმალური მიახლოება გახლავთ.

რეალობის შეცვლის გარდა ფოტომხატვრები სიურეალისტურ იმიჯებსაც ქმნიდნენ, რაც ისტორიის უცოდინარ ადამიანს სინამდვილე შეიძლება ეგონოს. მაგალითად, ემფაიერ სთეით ბილდინგის" წვერს გადებული მფრინავი დილიჟაბლი; ანდა ელვის პრესლის თითქმის გადაპარსულ-აპარსული თავი და ბაკენბარდები, რომელიც იმისთვის შექმნეს", რათა როკ - ენ - როლის მეფე სამხედრო სამსახურში წარმოედგინათ, ამით კი ცნობილი მისი ვარცხნილობა არათუ შეცვალეს, არამედ სახეც დისპოპორციული გამოუვიდათ; ანდა ერთი ამერიკელი მკვლელის სიკვდილით დასჯის წინამომენტის დაფიქსირება, მაშინ, როცა ამ ადამიანის თავი სხვა სიკვდილმისჯილის ტანს მიახატეს"; ბუნებაში გადაღებულ ფოტოზე მომღიმარი ჰიტლერის მარჯვნივ ასევე მომღიმარი გებელსი დგას. იმავე მეორე ფოტოზე კი ეს უკანასკნელი გამქრალია. მაშინ ჭორები დადიოდა გებელსისა და ლენი ლიფენშტალის (ჰიტლერისგან მარცხნივ დგას) კავშირზე და უსიამოვნო ხმების თავიდან ასაცილებლად განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი უბრალოდ ამოიღეს".

ბუნებრივია, ჩემთვის ყველაზე საინტერესო საბჭოეთის დროინდელი ფოტომანიპულაციები გახლდათ. მაგალითად, უკრაინელი ფოტოგრაფის ბორის მიხაილოვის მაისის ალუმი" (1970), სადაც ადამიანებს ლენინისა და ბრეჟნევის გაფერადებული პორტრეტები უჭირავთ, ტანსაცმელზე - წითელი სარტყელი, მკერდზე კი ოქროსფერი ორდენები აქვთ დამაგრებული. ფოტოს აშკარად ეტყობა, რომ მოგვიანებითაა შეღებილი". გამოფენაზე კი ყველაზე ისტორიული მაინც სტალინისა და მისი თანაგუნდელების ორი ფოტო იყო. შეგეძლო პირველწყაროსთან იმ გამოსახულებათა შედარება, რომელშიც ბოლშევიკების ჯგუფური ფოტოებიდან ის ადამიანები, რომლებსაც სტალინი სამეგობროდან" იშორებდა, ფოტოფირიდანაც ქრებოდნენ ანუ მავანნი ფოტოქაღალდზეც მათი არსებობის კვალს აქრობდნენ. ადამიანებს მარტო რეალურად კი არა ხვრეტდნენ, არამედ - ფოტომასალაზეც აუჩინარებდნენ. მაგალითად, კრემლის ფონზე ხიდზე სტალინის გვერდით ნ. ეჟოვი დგას. იმევე მეორე ფოტოზე სტალინის წითელი ტერორის პირნათლად განმახორციელებელი ეჟოვი კი, როგორც კი ხალხის მტრად" მოინათლა, გამოსახულებიდანაც გაქრა. პოლიტიკური ფოტომონტაჟის ერთგვარ საკულტო ნიმუშს კი ლენინი და სტალინი გორკში 1922 წელს" წარმოადგენს. ოღონდ ეს ფოტო" 27 წლის შემდეგ ერთმა უცნობმა ფოტოგრაფმა გაღიმებული ორი ბელადი ერთმანეთთან მეგობრულ საუბარში გადაიღო" (1949).

ოტწეპელამდე" კი სულ რაღაც 4 წელი რჩება, სტალინი მოკვდება, ბერიას დახვრეტენ, მერე 9 აპრილი მოხდება, მერე საბჭოთა კავშირი დაინგრევა, მერე საქართველოს ნაწილს დაიპყრობენ, მერე საქართველოს კათალიკოს - პატრიარქი სტალინს გამორჩენილ პიროვნებასა და მორწმუნეს უწოდებს, მერე სოჭის ოლიმპიადისთვის მოფიქრებულ" ჰომოფობურ კანონს სან ფრანცისკოელი ბარის მფლობელები არაყი სტოლიჩნაიას" ქუჩაში დაღვრით გააპროტესტებენ, ბრაიტონზე კი სტალინსკაია" გაიყიდება...



# ივანიშვილი ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას აპრილ-მაისში ვარაუდობს

### პრემიერ-მინისტრმა ბალტიისპირეთში ვიზიტი დაასრულა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როგორც თვითონ აღნიშნა, პრემიერის რანგში მისი ყველაზე ხანგრძლივი ვიზიტი დაასრულა. ლატვიასა და ესტონეთში, ივანიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს დელეგაცია 4-დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა.

ბიძინა ივანიშვილს ბოლო შეხვედრა ესტონელ კოლეგასთან, ანდრუს ანსიპთან ჰქონდა. შეხვედრა გაფართოებული ფორმატით წარიმართა. მხარეებმა დარგობრივი თანამშრომლობის მიმდინარე აქტუალური საკითხები განიხილეს. ივანიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ესტონეთში მისი პირველი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში «საქართველოსა და ესტონეთს შორის ტურიზმის სფეროში დახმარების“ შეთანხმებას ხელი მოეწერა. როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ბაზრების სიმცირიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის საკმაოდ უმნიშვნელო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაა, თუმცა სამთავრობო დონეზე ინვესტიციების წახალისებისა და ბიზნესურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მზადყოფნა არსებობს, რაც სავაჭრო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე დადებითად აისახება.

შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. „ჩემს კოლეგასთან შეხვედრისას პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრი, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მიმართულებები მიმოვიხილეთ... მიუხედავად სხვადასხვა სფეროში წარმატებული ურთიერთობისა, ჩვენს ქვეყნებს შორის დარგობრივი თანამშრომლობის მეტი პოტენციალი არსებობს, რომელიც აუცილებლად ჯეროვნად უნდა გამოვიყენოთ,“ - ამბობს ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა. ივანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ურთიერთობისა და პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ საუბრობს. „სააკაშვილთან რამდენიმე წლის განმავლობაში კარგი ურთიერთობა მქონდა, მანამ, სანამ ის პოზიტიური პრეზიდენტი იყო და ჩვენი ქვეყანა სწორი გზით მიდიოდა, ბევრ რჩევას ვაძლევდი და ვეხმარებოდი. შემდეგ კი მოვახერხეთ და გუნდთან ერთად პოლიტიკიდან გავისტუმრეთ. მე ჩემი მისია შევასრულე და საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, რამდენიმე კვირაში მივდივარ. ძალიან კარგ გუნდს ვტოვებ. ვფიქრობ, ჩემი ახალი როლი უფრო საინტერესოა. პოლიტიკაში დაბრუნებას აღარ ვაპირებ. მთავრობა საზოგადოების ნაწილია, ის კარგად არის შერჩეული და ვფიქრობ, საუკეთესო პოზიციას დაიჭერს. საჭიროა, დარჩენილ საზოგადოებას სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი მუხტის ჩამოყალიბებაში დავეხმარო, რათა საზოგადოებამ სწორად, გონებით და არა ემოციით არჩევა ისწავლოს. შესაბამისად, არჩეული ხელისუფლების კონტროლი მოახერხოს.

რაც შეეხება სააკაშვილს და მის მომავალს, ალბათ ეს მასზე და პროცესების განვითარებაზეა დამოკიდებული. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ საქართველომ წინ გაიხედოს,“ - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

საქართველოში გამომგზავრებამდე კი ივანიშვილმა ვიზიტის შედეგები ქართველ ჟურნალისტებთან შეაჯამა. პრემიერი მთავარ სიახლედ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების საკითხზე 8 სექტემბერს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რადოსლავ სიკორსკისგან მიღებულ ინფორმაციას ასახელებს. „პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მითხრა, რომ ვილნიუსში გამართულ თათბირზე კომისიამ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება გამოხატა. ითქვა, რომ საქართველომ შეთანხმებას ხელი, რაც შეიძლება მალე უნდა მოაწეროს. ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირების შემდგომ, საქართველოს იმავე კომისიასთან მუშაობის გაგრძელების საშუალება ექნება და შესაძლოა უახლოეს ხანში შეთანხმებას ხელი მოეწეროს. ჩემთან ერთად რამდენიმე მინისტრი იმყოფება. მათთან ვითათბირე, ასევე ეს ინფორმაცია ესტონელ კოლეგას გავაცანი, და რეალისტურია, რომ აპრილში, ყველაზე გვიან, მაისში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ,“ - ამბობს საქარველოს პრემიერ-მინისტრი. მისი აზრით, ამის გარანტიას პირველ რიგში ევროპული ფასეულობებისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება იძლევა. ივანიშვილს მიაჩნია, რომ მისი გუნდი წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ევროპულ ფასეულობებს გულწრფელად აღიარებს და ევროპულ ინსტიტუტებს აალორძინებს. „ჩვენ, ქართველი ხალხი ევროპელები ვართ,“ - დასძენს პრემიერი.

ივანიშვილი ესტონეთსა და ლატვიაში გამართული შეხვედრებით კმაყოფილია და ამბობს, რომ ბევრი დადებითი რჩევა, ინფორმაცია მიიღო. „ლატვიასა და ესტონეთში, ისევე, როგორც ლიტვაში სიყვარულს და სითბოს ვგრძნობთ. ეს ქვეყნები საქართველოს მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ავლენენ, რამეთუ ისინი ჩვენც განსაკუთრებით გვიყვარს,“ - თქვა ივანიშვილმა. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, პარტნიორები ახალი ხელისუფლების ხელწერაში კიდევ ერთხელ დაარწმუნა.

კოლეგასთან შეხვედრამდე ივანიშვილი ესტონეთის პრეზიდენტის სასახლეს ეწვია. პრემიერმა პრეზიდენტ ტომას ჰენდრიკ ილვესს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის და საქართველოს

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში ესტონეთის აქტიური ძალისხმევისათვის მადლობა გადაუხადა.

პრემიერ-მინისტრი, ასევე შეხვდა ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარეს. ივანიშვილმა და ენე ერგამამ თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს. საპარლამენტო ურთიერთობების გააქტიურებისა და საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფებს შორის ვიზიტების სურვილი გამოითქვა. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო «განვითარების თანამშრომლობის პროგრამის“ (Development Cooperation Program) ფარგლებში ესტონეთის დახმარებას აფასებს.

ბალტიისპირეთში ვიზიტის ფარგლებში ივანიშვილი, ასევე შეხვდა ეუთო-ს გენერალურ მდივანს ლამბერტო ზანიესს.

მხარეებმა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ისაუბრეს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებლების მოწვევის საკითხი დააყენა. ივანიშვილმა საქართველოში ეუთო-ს სრულფასოვანი მისიის აღდგენის საჭიროების შესახებაც ისაუბრა. პრემიერი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ეუთო-ს მონაწილეობასა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ ვითარებას შეეხო.

ტალინის აეროპორტში კი ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე მისი სავარაუდო შემცვლელის შესახებ კომენტარი გააკეთა. კითხვას - შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის, მამუკა ბახტაძის კანდიდატურა პრემიერის პოსტზე განიხილება თუ არა? ივანიშვილი პასუხობს: „თქვენ კარგად მიკარნახეთ. კარგი ბიჭია, სხვათა შორის, მე არ განვიხილავდი მას კანდიდატად, მაგრამ საინტერესო პიროვნებაა და შეიძლება ერთ-ერთ ვარიანტად ესეც დარჩეს.“

***საკუთარი ინფორმაცია***

# „ციხის ბუნტის„ საქმეზე სასამართლომ არსებითი განხილვა დაიწყო

*გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი ბრალდების, ე.წ. ციხის ბუნტის საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.*

პროცესზე მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს, რის შემდეგაც დაცვის მხარემ ბაჩო ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტა მოითხოვა. არგუმენტად კი გამოძიების ხანდაზმულობა დაასახელა.

კერძოდ, ადვოკატ მალხაზ ველიჯანაშვილის განცხადებით, 2006 წელს დაწყებული გამოძიების საფუძველზე მოხდა ახალაიასთვის და მასთან ერთად ბრალდებულების მიმართ ბრალის წაყენება. ეს კი ნიშნავს, რომ 2006 წელს აღძრული საქმე ხანდაზმულია და ამის საფუძველზე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება უკანონო და უსაფუძვლოა.

ადვოკატების შუამდგომლობა ბაჩო ახალაიასათვის „ციხის ბუნტის“ საქმეზე სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე, მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ არ დააკმაყოფილა. მისი განმარტებით, შუამდგომლობა პროცედურული წესების მიხედვით არ იყო დაყენებული, თუმცა მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლო დაცვის მხარის შუამდგომლობას განიხილავს.

პროცესის დასაწყისში, მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს. ბაჩო ახალაია პროკურორმა 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ბუნტის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში და პატიმრების მიმართ ღირსების შემლახველ მოპყრობაში დაადანაშაულა.

პროკურორის თქმით, ბაჩო ახალაია ცდილობდა, პატიმრების გამოყენებით, კერძოდ, ე.წ. კანონიერი ქურდის პლატონ მამარდაშვილის მეშვეობით გაექარწყლებინა საზოგადოებაში დამკვიდრებული აზრი, რომლის მიხედვითაც, იგი პატიმრებს სიმთვრალეში ფიზიკურად უსწორდებოდა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილები არიან კრიმინალური ავტორიტეტები ნიკოლოზ მახარაძე, მალხაზ ბედელაშვილი, პლატონ მამარდაშვილი, ზურაბ ვიბლიანი, გიორგი ავალიანი და ლევან ცინდელიანი.

ცნობილი გახდა, რომ დაზარალებულად ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტები არ დაიკითხებიან. პროკურორ რევაზ ნადოის განცხადებით, კანონიერი ქურდების დაკითხვაზე უარი თავად დაცვის მხარემ თქვა. პროკურორის განმარტებით, დაცვის მხარემ ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება დასაშვებად სცნო და სასამართლო კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებს მიიღებს.

პროკურორის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულების ადვოკატები ბრალდების მხარის მტკიცებულებებს სადავოდ გახდიდნენ, პროკურატურა მზად იყო საქმეში არსებული დაზარალებულების სასამართლო პროცესზე მიყვანა უზრუნველეყო.

ბაჩო ახალაიას ადვოკატის მალხაზ ველიჯანაშვილის განმარტებით, დაცვის მხარემ ბრალდების მტკიცებულებები არასადავო იმ მოტივით მიიჩნია, რომ საქმის პირველადი გამოძიების დროს და ახალი გამოძიების პროცესში, დაზარალებულად ცნობილ კანონიერ ქურდებს განსხვავებული ჩვენებები აქვთ მიცემული.

ველიჯანაშვილის თქმით, დაცვის მხარის სტრატეგიაა, რომ აღნიშნული ჩვენებები უდავოდ მიიღოს. თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, სასამართლო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**„ეს არის ჩვენი სტრატეგია. იმ ადამიანებს რა ჩვენებებიც აქვთ მიცემული ერთხელ უკვე სასამართლოში, არის შეცვლილი, ყველაფერი გავხადეთ უდავოდ, რადგან ხუთი განსხვავებული ჩვენება აქვთ ამ ადამიანებს. სასამართლო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება, არ ეცოდინება, რომელი ჩვენება უნდა გაითვალისწინოს და რას უნდა დაეყრდნოს განაჩენის გამოტანისას“**, - აღნიშნა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

რაც შეეხება თავად ბაჩო ახალაიას, მისი თქმით, არ ეგონა რომ პროკურატურა კრიმინალების გვერდით აღმოჩნდებოდა და პროკურორები ქურდულ სამყაროსთან ერთად დაუპირისპირდებოდნენ,

ახალაიას განცხადებით, პროკურატურის პოზიცია გასაკვირი არ არის, რადგან მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ქურდული სამყაროს წევრის, შაქრო კალაშოვის ადვოკატი იყო.

**„ახლა კი ვიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ადგილი არ ჰქონია იმ სცენარს, რომელიც პროკურორმა დღევანდელ პროცესზე დაასახელა. ეს იგივე სცენარია, თითქოს მე ვიყავი მარსზე და პროკურორი და ქურდები ერთად მიმტკიცებენ, რომ მე მარსზე მნახეს. ქურდების ჩვენებები წლების განმავლობაში იცვლებოდა და კიდევ შეიცვლება ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად. ამ შემთხვევაში პროკურატურა არის პოლიტიკურად მოტივირებული და არა სამართლებრივად“**, - განაცხდა ბაჩო ახალაიმ და აღნიშნა, რომ პროკურატურიდან დღეს მოსმენილი შესავალით გაკვირვებულია.

**„ეს პროკურორმაც თქვა, აქამდეც მქონდა გაგონილი 2006 წელს. ეს იყო პერიოდი, როდესაც სახელმწიფო ქურდულ სამყაროს ციხის მენეჯმენტს რეალურად ართმევდა. იმ ისტორიას, რაც პროკურორის მხრიდან მოვისმინე, ადგილი არ ჰქონია, არ მეგონა თუ პროკურატურა კრიმინალების გვერდით აღმოჩნდებოდა და მე მექნებოდა გაერთიანებულ ქურდულ სამყაროსთან და პროკურატურასთან საქმე**“, - საქმის არსებითი განხილვისას განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულების პროცესი 10 სექტემბერს, 14:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმეების წარდგენით განახლდება. ბაჩო ახალაიასთან ერთად უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულები დავით ჭაკუა, რევაზ ჭარბაძე და მეგის ქარდავა არიან.

# ცელიური ზღაპარი დასრულდა

პირველი გვერდიდან

HYUNDAI



ეს ჩეხებთან პაექრობაშიც გამოჩნდა. ჩეხებმა სწრაფი ტემპი შემოგვთავაზეს, რომელსაც ვერ ავყევით და სასტიკად დავმარცხდით.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი, ფაქტობრივად, 8 კალათბურთელით ჩაატარა. აქედან ნახევარი გამოუცდელი იყო. ძირითადი დარტყმა ლიდერებმა იკისრეს (სანიკიძე, ცინცაძე, შერმადინი, მარკოიშვილი), რომლებიც 3 ტურის შემდეგ გამოიფიტნენ. მოთამაშეები ბოლო მეოთხედში ზონის გადაკეტვას ველარ ახერხებდნენ და მეტოქეს სამქულიანი ტყორცნის თავისუფლად შესრულების საშუალებას აძლევდნენ. აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივი ტურნირისთვის კოკოშკოვის გუნდი მზად არ არის. ეს ნაკლია, მაგრამ ისეთი, რომლის აღმოფხვრა შეიძლება.

ჩვენი გუნდის მეორე ნომრებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც მომავალ ევროპის პირველობაზე ძალიან გამოგვადგება. ეს უკვე პოზიტივია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფორმაში ჩადგებიან გუნდის ლიდერები ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია და საქართველოს ნაკრებს ორი სრულფასოვანი გუნდი ეყოლება, 10 კალათბურთელი, ვინც ერთმანეთს სრულფასოვნად შეცვლის და იმ ნაკრებისგანაც მეტს მივიღებთ.

სლოვენიური ზღაპარი კი დასრულდა. პოლონეთთან გამარჯვების შემდეგ ვარიანტებს ვითვლიდით. ბოლომდე გვქონდა შანსი, რომელიც ჩეხებმა წაგვართვეს. მე და ჩემი კოლეგა ბურთების სხვაობას განვიხილავდით იმ შემთხვევისთვის, თუ საქართველო ჩეხეთს მოუგებდა, ხოლო ჩეხეთი ხორვატიას, მაგრამ ჩეხებმაც და ხორვატებმაც ყველაფერი ყირაზე დააყენეს. დასავლეთ სლავებმა ხომ ჩვენ გაგვანადგურეს, სამხრეთ სლავებმა კი მასპინძელი სლოვენია დაიბრიყვეს ოვერტაიმში. ასე რომ, ჩვენს ყველა გათვლას თუ ზღაპრულ მოლოდინს წერტილი დაესვა.

ბოლო ტური კი რაღაც აბსტრაქტულს ჰგავდა, უბრალო ფორმალობას, სადაც ერთი აშკარად სჯობდა მეორეს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ესპანეთთან მატჩში მთელ გუნდს მიეცა მოედანზე გასვლის საშუალება. ესპანეთმა, მიუხედავად იმისა, რომ პო გასოლისა და ხუან კარლოს ნავაროს გარეშე თამაშობს, 24 ქულა მოგვიგო. ჩაგვიტარა რამდენიმე საჩვენებელი კომბინაცია. მოგვევლინა ქრესტომათიად, საიდანაც უნდა ვისწავლოთ.

სიმართლე რომ ითქვას, საქართველოს ნაკრებისგან მომდევნო ეტაპზე გასვლას არც არავინ ელოდა. ჩემპიონატის დაწყების წინ ფაჩულიასა და შენგელიას გარეშე დარჩენილი გუნდი ტოტალიზატორებმა აუტსაიდერის რანგში განიხილეს, მაგრამ გორტატისა და ლამპეს პოლონეთს რომ 17 ქულა მოვუგეთ და ხორვატიაც რომ გადაგვირჩა?

აშკარად ავფორიაქდით.

**საქართველო - ესპანეთი 59:83 (17:17, 12:24, 10:21, 20:21)**

**საქართველო:** მეტრეველი (4), ფხაკაძე, სანაძე (7), ბურჯანაძე (2), ცინცაძე (6), შერმადინი (10), ჰიკმენი (7), ფაცაცია (3), სანიკიძე (8), ლეჟავა (7), ცქიტიშვილი (5).

**ესპანეთი:** აგილარი (2), ფერნანდესი (11), როდრიგესი (15), რეი (6), კალდერონი (3), რუბიო (16), კლავერი (4), სან ემეტერიო (3), ლული (11), მარკ გასოლი (4), გაბრიელი (5), მუმბრუ (3).

# მესამე ადგილის შანსი ფინეთზე გადის

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა საფრანგეთთან შეხვედრამდე თქვა, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მესამე ადგილი დავიკავოთო, მაგრამ ამ სიტყვებში ფინეთთან დღევანდელ თამაშს გულისხმობდა. სწორედ მათთან წყდება ჯგუფში მესამე ადგილის დაკავების ბედიო. საფრანგეთთან მატჩზე კი ამბობდა, ვიბრძოლებთ, თავს არ შევირცხვენთო. ჩვენთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ფრე ვითამაშეთ, რაც ისევ ჩვენთვის მოგების ტოლფასი გამოდგა. ასე რომ, ფინეთთან დღეს ფრთაშესხმულებს მხოლოდ გამარჯვება უნდა უტრიალებდეთ თავში. თემურ ქეცბაიამ ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გუშინ მოწყობილ პრესკონფერენციაზე თქვა, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ და უმძიმეს ქვეჯგუფში მესამე ადგილის დაკავებას შევეცდებითო.*



*შარშან ფინეთი VS საქართველო 1:1 დასრულდა*

„კარგია, რომ თბილისში ვთამაშობთ. პირველი თამაშის შემდეგ მოლოდინი დიდია. ყველა ელის, რომ საქართველოს ნაკრები მოიგებს. ამას ჩვენც ველოდებით, ეს ჩვენც გვინდა.

ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ. ეს შანსი ის არის, რომ ჩვენმა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავოს. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ფინეთთან მატჩს მოვიგებთ. რთული თამაში იქნება. ფინეთს კარგი ნაკრები ჰყავს, კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული.

თამაშისთვის მზად ვართ. იმედი მაქვს, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ წარმატებისთვის.

საფრანგეთთან დამსახურებულად ავიღეთ ქულა, თუმცა, ფინეთი სუსტი გუნდი არ არის. ასე რომ, ვერ წამომიდგენია, მოტივაცია აკლდეთ ბიჭებს.

ფინეთმა ესპანეთიდან ქულა წამოიღო, რაც მათ სიძლიერეზე მიუთითებს“.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს ნაკრები ძლიერ მეტოქეებთან უკეთ თამაშობს, ვიდრე შედარებით სუსტებთან. ამასთან დაკავშირებით თემურ ქეცბაიასაც აქვს თავისი მოსაზრება. ამბობს, რომ თბილისში ყოველთვის კარგად თამაშობს გუნდი, მაგრამ გულს სტკენს ის, რომ 31 მატჩიდან უმეტესობა სტუმრად ჩაატარა.

მისივე თქმით, გუნდი შემტევ ფეხბურთზე იქნება ორიენტირებული. ქეცბაიამ თავისი შეგირდების საფრანგეთთან თამაშიც გაიხსენა: „ყველას, მათ შორის ბევრ ქართველსაც ეგონა, რომ ადვილად მოგვიგებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ძალიან კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად ავიღეთ ერთი ქულა“.

ფინეთთან ტაქტიკა?

„მოგებაზე უნდა ვითამაშოთ და უფრო ხშირად უნდა შევუტიოთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაცვას დავივიწყებთ“.

საქართველოს ნაკრებში იძულებითი ცვლილებაცაა. საფრანგეთთან შეხვედრის გმირი, გიორგი ლორია, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ფრანკ რიბერისთან ერთად, ორი ყვითელი ბარათის გამო ფინეთთან შეხვედრას გამოტოვებს (ბელარუსთან მატჩში მიღებული გაფრთხილების შემდეგ, საფრანგეთთან მიღებული ყვითელი ბარათი მისთვის მეორე იყო ).

რას უნდა ველოდოთ ფინეთისგან?

„ვერ ვიტყვი, რომ ფინეთთან პირველი მატჩი სუსტი იყო. კარგად ვითამაშეთ ფინეთში და უნდა მოგვეგო კიდეც, თუმცა, არც მასპინძლები თამაშობდნენ ურიგოდ.

შარშან ფინელებმა საფრანგეთთან 0:1 წააგეს. მე თუ მკითხავთ, არ უნდა წაეგოთ. ეს არ იყო წასაგები მატჩი. საერთოდ, ფინეთის ჩაგდებულ თამაშს ვერ ვიხსენებ. ფინეთში რომ მოგვეგო, ფაქტობრივად, იქვე ვინაღდებდით ჯგუფში მესამე ადგილს. ამჯერად შანსი გვაქვს, მაშინდელი გასაკეთებელი ახლა გავაკეთოთ“.

საქართველო VS ფინეთი დღეს „დინამო არენაზე“ 21.00 საათზე დაიწყება.

# 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძელი სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ დაასახელა

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2020 წლის თამაშების მასპინძლად იაპონიის დედაქალაქი ტოკიო დაასახელა. ამომავალი მზის ქვეყნის სატახტო ქალაქმა ეს საპატიო უფლება 7 სექტემბერს, არგენტინაში, ბუენოს აირესში გამართულ სოკ-ის 125-ე სესიაზე მოიპოვა.

ტოკიო 1964 წლის შემდეგ მეორედ უმასპინძლებს ოლიმპიურ თამაშებს. იაპონიის დედაქალაქის გარდა, ამ უფლების მოსაპოვებლად მადრიდი (ესპანეთი) და სტამბოლი (თურქეთი) იბრძოდნენ. პირველ ტურში ტოკიომ 42 ხმა მიიღო, მადრიდმა და სტამბოლმა - 26-26. მეორე ტურში ფინალისტი გაირკვა: სტამბოლმა 49 ხმა მოიპოვა, მადრიდმა - 45. მესამე, უკანასკნელ ტურში ტოკიოს 60-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი, სტამბოლს - 36-მა.

იაპონიის დედაქალაქს 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაც სურდა, მაგრამ რიო დე ჟანეიროსთან დამარცხდა. ამჯერად ტოკიომ გაიმარჯვა და გახდა აზიის პირველი ქალაქი, სადაც თამაშები მეორედ გაიმართება. ტოკიო ასევე აზიის პირველი ქალაქი იყო, სადაც ოლიმპიადა გაიმართა.

ჩვენ ძალიან გვინდოდა ოლიმპიადის მასპინძლობა და უზომოდ მიხარია, რომ ეს უფლება მოვიპოვეთ! დარწმუნებული ვარ, ჩვენს სიხარულს მთელი იაპონია იზიარებს! მჯერა, რომ 2020 წლის თამაშები ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ოლიმპიადების ისტორიაში“! - განაცხადა იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა და ტოკიო 2020-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ცუნეკაზუ ტაკედამ.

გადაწყვეტილია, რომ ტოკიოს ოლიმპიური სტადიონის ტევადობა 50 ათასიდან 80 ათასამდე გაიზრდება. ამ და სხვა სარბიელების რეკონსტრუქციისთვის იაპონიის ხელისუფლებამ უკვე გამოყო მილიარდი დოლარი.

2020 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე იაპონია კიდევ ერთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას უმასპინძლებს: 2019 წელს ამომავალი მზის ქვეყანაში რაგბის მსოფლიო თასი გათამაშდება.

ტოკიოს გამარჯვებიდან ერთი დღის შემდეგ, 8 სექტემბერს, ჭიდაობის თაყვანისმცემლებმაც გაიხარეს: სპორტის ანტიკური სახეობა ჭიდაობა 2020 და 2024 წლების ოლიმპიური თამაშების პროგრამაში დარჩება, ოღონდ დამატებითი სახეობის სტატუსით.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ახალი პრეზიდენტის ნენად ლალოვიჩის თქმით (მან რაფაელ მარტინეტი შეცვალა), მისი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა მომდევნო 4 წლის განმავლობაში ოლიმპიური თამაშების ძირითად 25 სახეობაში დაბრუნება იქნება.

სპორტის ახალი სახეობა არ არის, მაგრამ ის ჭიდაობა, რომელსაც ჩვენ წარვადგენთ, ახალი ჭიდაობაა! არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს უმნიშვნელოვანესი დღეა ჩვენი სპორტის თითქმის ორიათასწლიან ისტორიაში“! - განაცხადა ლალოვიჩმა ფარული კენჭისყრის შემდეგ. ჭიდაობამ 49 ხმა მიიღო, ბეისბოლმა და სოფტბოლმა - 24-24, სქვოშმა - 22.

***სამინისტროს პრესსამსახური***

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019641**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მნუნიციპალური სამსახური |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 09.09.2013 11:07 |
| წინადადებების მიღება იწყება | 11.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 13.09.2013 14:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 5000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | დანართი #2 ფასების ცხრილის მიხედვით |
| მოწოდების ვადა | 2013 წლის 31 დეკემბრამდე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 50 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 50 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019502**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 12:58 |
| წინადადებების მიღება იწყება | 22.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 27.09.2013 15:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 21000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 31400000-აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 31400000-აკუმულატორები, დენის პირველადი წყაროები და პირველადი ელემენტები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 370 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 210 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019545**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 16:03 |
| წინადადებების მიღება იწყება | 22.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 27.09.2013 16:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 49993 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 31500000-გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 31527200-გარესანათი |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 1000 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 500 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019564**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | შ.პ.ს. ,,თბილსერვის ჯგუფი" |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 17:09 |
| წინადადებების მიღება იწყება | 27.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 02.10.2013 16:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 7600 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გარეშე |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 45261210-სახურავის გადახურვა |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | სხვადასხვა, იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 76 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 76 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019481**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 11:18 |
| წინადადებების მიღება იწყება | 10.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 12.09.2013 12:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 3760 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 18100000-სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 18100000-სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარულ დღეში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 40 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 38 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019536**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | გორის მუნიციპალიტეტი |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 15:38 |
| წინადადებების მიღება იწყება | 10.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 12.09.2013 14:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 32600 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 39200000-ავეჯის აქსესუარები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 39221120-ფინჯნები და მინის ჭიქები, 39221220-თეფშები, 39221260-საველე ქვაბები, 39223100-კოვზები, 39240000-დანა-ჩანგალი . . . |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | რაოდენობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში |
| მოწოდების ვადა | ხელსეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 326 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 326 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019508**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | ეროვნული სატყეო სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 13:21 |
| წინადადებების მიღება იწყება | 10.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 12.09.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 4000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გარეშე |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 09200000-ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 09211100-ძრავის ზეთები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 500 ლიტრი |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 01 დეკემბრამდე. |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 60 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 40 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130019598**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | ქ. თბილისის მერია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.09.2013 19:13 |
| წინადადებების მიღება იწყება | 25.09.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 30.09.2013 14:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 819600 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 34900000-სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 34992000-ნიშნები და განათებული ნიშნები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. სატენდერო დოკუმენტაცია. |
| მოწოდების ვადა | ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 3280 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 8196 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge